პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 267 (5368) | სამშაბათი, 22 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა აღვზარდოთ საბჭოთა ინტელიგენცია მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

ასეთი ინტელიგენციის გარეშე საბჭოთა სახელმწიფო წარმატებით ვერ უხელმძღვანელებს ქვეყანას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ საბჭოთა ინტელიგენციის ასეთი აღზრდის საშუალებას წარმოადგენს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

მომზადებული შევხვდეთ ზამთარს რკინიგზაზე

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად ჩვენი ქვეყანა დიდი სარკინიგზო სახელმწიფო გახდა.

ორი ხუთწლედის განმავლობაში რკინიგზელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობითა და დახმარებით რკინიგზელებმა გასწმინდეს თავისი რიგები ხალხის უბოროტესი მტრებისაგან.

ხალხის უბოროტესი მტრების, ჯაშუშების, მავნებლების ბუდეების განადგურების შემდეგ მკვეთრად შემცირდა რკინიგზაზე მარცხები, ავარიები და წუნი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში.

ტროცკისტ-ბუხარინელ მავნებელთა ხროვის ლიკვიდაციამ რკინიგზის ტრანსპორტზე გზა გაუკაფა ნიჭიერ მუშაკებს. ასობით და ათასობით დაწინაურდნენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე ნიჭიერი ადამიანები. სოციალისტურ ტრანსპორტზე კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა, რამაც ხელი შეუწყო სტახანოველ-კრივონოსელ ინიციატორთა დაწინაურებას და სტახანოველთა რიგების გაფურჩქვნას და გაძლიერებას.

ამ ცოტა ხანში ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ათობით და ასობით დაწინაურდნენ ინიციატივიანი, უნარიანი რკინიგზელები, რომლებმაც თავის საქმით დაამტკიცეს თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინურ-სტალინური უძლეველი პარტიისადმი. ახალი ადამიანები ახალი ენერგიით ჩაუდგნენ სათავეში რკინიგზის ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმეს.

დიდი რევოლუციის XXI წლისთავის ჩატარებით გამოწვეულმა ენტუზიაზმმა კიდევ უფრო აზვირთა სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის ტალღები.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ, რომელიც ოქტომბრის XXI წლისთავის წინახანებში გაიშალა, უაღრესად თვალსაჩინო შედეგები მოგვცა ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. რკინიგზის ფოთის კვანძის სტახანოველებმა და კრივონოსელებმა — შემკეთებელმა ი. გაბელიამ, მემანქანემ მ. სახიძემ წარმატებით შეასრულეს სოცშეჯიბრებაში ჩაბმის დროს აღებული ვალდებულებები. ასევე წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები თბილისის, სამტრედიის, შორაპნის რკინიგზელმა სტახანოველებმა და დამკვრელებმა.

მაგრამ ამ წარმატებებმა არ უნდა დაჰფაროს ის ფაქტი, რომ ამიერ-კავკასიის რკინიგზის ზოგიერთი კვანძი ზამთრისათვის მზადების საქმეში ჩამორჩა, რომ შორაპნის, თბილისის, სამტრედიის რკინიგზის კვანძები ჯერ კიდევ ყოველმხრივ მზად არ არიან ზამთრის შესახვედრად.

ზამთარი რკინიგზის ტრანსპორტზე მეტად პასუხსაგები პერიოდია. ზამთრის სიძნელეები რომ გადალახულ იქნას, ამის აუცილებელი პირობაა — საორთქლმავლო დეპოს კარგი მუშაობა, ვაგონებისა და ლიანდაგის მეურნეობათა წესრიგში მოყვანა, სადგურებისა და კავშირგაბმულობის ნორმალური, ზუსტი მუშაობა.

იქ, სადაც დროზე და მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი ზამთრისათვის მზადების საქმეს, სადაც მობილიზებულია მთელი ძალები და სახსრები რკინიგზის ტრანსპორტის ზამთრისათვის მოსამზადებლად, შედეგსაც კარგს მიაღწიეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზამთრის შესახვედრად მოსამზადებელი მუშაობა სათანადოდ არ გაუშლიათ.

შორაპნის რკინიგზის კვანძის მუშაკები არასაკმაოდ იბრძვიან სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების № 231-ცს შესასრულებლად. მაგალითად: საორთქლმავლო საამქროში (უფროსი — კ. ბუხაშვილი) ავადმყოფი ორთქლმავლების რაოდენობა შემცირების ნაცვლად სწრაფად იზრდება, — ამჟამად ავადმყოფ ორთქლმავალთა რაოდენობა 24 პროცენტს აღწევს. დეპოში სამი-ოთხი თვეა საჭირო ნაწილების უქონლობის გამო 5 ავადმყოფი ორთქლმავალი ხელუხლებლად დგას. თვით საორთქლმავლო საამქროს შენობა მოუწყობელია.

რამდენიმე თვის წინათ თბილისის სატვირთო ვაგონების დეპოს კოლექტივმა ფართოდ განიხილა სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის № 231-ც ბრძანება, რომელშიც მთელი სიგრძე-სიგანითაა დაყენებული ზამთრისათვის მზადყოფნის ამოცანა, მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად მათ ჯერ სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამთ. თბილისის სავაგონო დეპოს შემკეთებელი საამქროს დიდი ნაწილი კვლავ გადაუხურავია და ვაგონების შეკეთება ღია ცისქვეშ სწარმოებს. ცუდ ამინდში და მით უმეტეს ზამთრის სუსხიან და თოვლიან დღეებში ღია ცისქვეშ შეუძლებელი იქნება მუშაობა.

სრულიად გულდამშვიდებით ელოდებიან ზამთარს სადგურ წნორის მუშაკები. მათ ჯერ სულ უბრალო საქმეც ვერ მოუგვარებიათ. სატელეფონო კავშირის დამყარება სადგურებს შორის წნორის სადგურისათვის მიუღწეველ პრობლემად გახდა. ხშირად აქ ადგილი აქვს მატარებლების სვლის გრაფიკის დარღვევას, რაც უმთავრესად გამოწვეულია სადგურ გურჯაანის ცუდი მუშაობით. წნორის სადგურს აკლია მუშა-ხელი. არც წნორში და ამიერ-კავკასიის მთელ რიგ სხვა რკინიგზის კვანძებზეც არ სრულდება დატვირთვის გეგმა.

ეს მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა რკინიგზის კვანძის მუშაკებმა მაქსიმალურად გაშალონ მუშაობა ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსასწორებლად. ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტს ყველა პირობა აქვს იმუშაოს ისე, როგორც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. გაუმჯობესებული ტექნიკა, წინანდელი სუსტი ორთქლმავლების ნაცვლად ახალი მძლავრი ლოკომოტივები, დიდტვირთტევადი ვაგონები, ტექნიკურად გაუმჯობესებული სალიანდაგო მეურნეობა, — ყველა ეს ძირითადი საშუალებაა რკინიგზის ტრანსპორტის უკეთ მუშაობისათვის.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ მაღალი შესაძლებლობანი, კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა, ნამდვილად გახადონ ის ფართო მასების საკუთრებად, საყოველთაო მოძრაობად და მიაღწიონ ახალ წარმატებებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებები და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელობასთან ერთად, სათავეში ჩაუდგნენ რკინიგზაზე ზამთრისათვის მზადებას, მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა — სტახანოველთა, კრივონოსელთა გამოცდილების ფართოდ გაზიარების საქმეს.

პოლიტგანყოფილებებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოფიქრებული მუშაობა უნდა აწარმოონ რკინიგზელთა შორის მათი პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ფართოდ განუმარტონ რკინიგზელებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის შესახებ“, ბოლშევიკურ იდეებზე ზარდონ ახალი კადრები, ბოლშევიკური კადრები.

რკინიგზელმა მეთაურებმა ღრმად უნდა შეისწავლონ ბოლშევიკური პარტიის ისტორია, დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, „რადგან სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის სწორი ხელმძღვანელობის ამოცანა მოითხოვს, რათა პრაქტიკოსები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, მოითხოვს შესწევდეთ უნარი იხელმძღვანელონ თეორიით პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხთა გადაჭრის დროს“. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება).

ხარკოვის მუშების საჩუქარი სამშობლოს გმირ დამცველებს

ამხანაგ ვოროშილოვის დეპეშა ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მუშათა კოლექტივისადმი

ხარკოვი, 19 ნოემბერი („პრავდის“ კორ.). 3 ნოემბერს შესდგა ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის სტახანოველთა და დამკვრელთა საერთო საქარხნო კონფერენცია, რომელმაც თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ ვოროშილოვს მიმართა თხოვნით მიეღო ქარხნის კოლექტივისაგან საჩუქრად 8 ოქროს საათი — სამშობლოს გმირ დამცველთა — ხასანის ტბასთან მომხდარი ბრძოლების მონაწილეთა დასაჯილდოებლად.

დღეს ქარხნის კოლექტივმა მიიღო სახკომის პასუხი. სტახანოველთა და დამკვრელთა საერთო საქარხნო კონფერენციის პრეზიდიუმის სახელზე გამოგზავნილ დეპეშში ამხანაგი ვოროშილოვი სწერს:

„ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს წინადადებას ხასანის ტბასთან მომხდარი ბრძოლების შესანიშნავ მონაწილეთა ოქროს საათებით დაჯილდოების შესახებ ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივის სახელით ვლებულობ მადლობით.

ამ მიზნით გამოყოფილი 8 ცალი ოქროს საათი გთხოვთ გადმოგზავნოთ თავდაცვის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობის განკარგულებაში, რის შემდეგ, 1 არმიის სამხედრო საბჭოსთან შეთანხმებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი ბრძანებით დაჯილდოებული იქნებიან თქვენი სახელით საუკეთესო მებრძოლნი და მეთაურნი — ხასანის ტბასთან მომხდარი ბრძოლების მონაწილენი.

მუშურ-გლეხური წითელი არმია განუყოფელი ნაწილია მუშათა კლასისა და მთელი ხალხისა. ამაშია ჩვენი არმიის ძალა და ჩვენი სამშობლოს გამარჯვების საწინდარი.

სალამი **კ. ვოროშილოვი**“.

„პრავდა“, 20 ნოემბერი.

გრანდიოზული მიტინგი პარიზში

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). პარიზში საზამთრო ველოდრომზე შესდგა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო რესპუბლიკური ესპანეთიდან დაბრუნებული ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთა პატივსაცემად. მიტინგს დაესწრო 30 ათასზე მეტი მშრომელი, რომლებიც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ რესპუბლიკური ესპანეთიდან დაბრუნებული ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთ. ანდრე მარტისა და ინტერნაციონალური ბრიგადების დაჭრილ მებრძოლთა გამოცხადებას მიტინგზე „მარსელიოზისა“ და „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდნენ. მიტინგი ამავე დროს მასების მკვეთრი პროტესტი იყო დალადიეს მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ.

მარსელ კაშენი გამოვიდა სიტყვით, რომლითაც იგი ამხელდა მიუნხენის შეთანხმების მონაწილეთა ზრახვებს გადაექციათ ესპანეთი მეორე ჩეხოსლოვაკიად.

ჟაკ დიუკლომ თავის გამოსვლაში მიუთითა იმაზე, რომ მიუნხენის შეთანხმებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში, დალადიეს მთავრობის ეგრეთწოდებულ საგანგებო დეკრეტებში. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ერთიანი სახალხო ფრონტის უმჭიდროესად დარაზმვა იმისათვის, რათა წარმატებითი ბრძოლა აწარმოოს საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ და ხელი შეუშალოს ესპანეთის დანაწილებას.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა ანდრე მარტიმ მიუთითა ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე და აღნიშნა, რომ ესპანეთის რესპუბლიკის ხსნის ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს ერთიანობა სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის, როგორც ეს განხორციელებულია რესპუბლიკურ ესპანეთში საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის პროცესში.

მიტინგის მონაწილეებმა ფეხზე დგომით მიიღეს საზეიმო ფიცი ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი რესპუბლიკური ესპანეთის ჩახშობას და გააძლიერონ კონკრეტული დახმარების გაწევა რესპუბლიკური ესპანეთისადმი მისთვის პროდუქტების, ტანსაცმელისა და მედიკამენტების გაგზავნის საშუალებით. მიტინგის მონაწილეებმა პირობა დასდეს აგრეთვე მთელი ძალღონით იბრძოლონ საფრანგეთის მთავრობის მიერ შემოღებული საგანგებო დეკრეტების გაუქმებისათვის და აწარმოონ ბრძოლა ხალხის სურვილის შესაბამისი მთავრობის შექმნისათვის.

საფრანგეთის ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართვა დალადიესადმი

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთ, მეცნიერული და სალიტერატურო წრეების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა დალადიეს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის გადაწყვეტილება უცხოელ მოხალისეთა სრული გაწვევის შესახებ, მიღებული ყოველგვარი პირობების გარეშე და დაუყოვნებლივ განხორციელებული, ესპანეთის პრობლემის სწრაფად გადაჭრის ყველაზე სწორ გზას წარმოადგენს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად გაწვეულ იქნას ესპანეთიდან უახლოეს ვადაში და ყოველგვარი პირობის გარეშე ყველა უცხოელი ჯარისკაცი, ტექნიკოსი და სპეციალისტი, რომლებიც გენერალ ფრანკოს სამსახურში იმყოფებიან. გაწვევა არ უნდა გადაიქცეს რაიმე კომპენსაციის მიცემის საბაბად, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მშვიდობიანობისა და საფრანგეთის უშიშროების ინტერესებს“.

მიმართვას ხელი მოაწერეს საფრანგეთის ყოფილმა მინისტრებმა: პოლ ბასტიდმა, მაქს გიმანსმა, სტეგმა, ანრი გერნიუმ, მონერვილმა, რობერ ჟარდიემ, მარიუს მუტემ, მორის ვიოლეტმა და ანრი სელიემ, ყოფილმა სტატს მდივნებმა — ლაგრანჟმა და ლაკორმა, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ჟაკ დიუკლომ, დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სოციალისტმა გრუმბახმა, სენატორებმა რებულმა, პერდრიმ, გრომ და კლამამიუსმა, დეპუტატებმა ბოსუტრომ, ლებაიმ, ვიდემ, როლენმა, პროფესორებმა პოლ ლანჟევენმა, ჟოლიო-კიურიმ და ადამარმა, სოციალისტმა ჟირომსკიმ, ცნობილმა ვექილმა ანრი ტორესმა, მწერლებმა — ჟან როსტანმა, შარლ ვილდრაკმა და საფრანგეთის ინტელიგენციის ბევრმა სხვა გამოჩენილმა წარმომადგენელმა.

რწმუნების სიგელების გადაცემა საფრანგეთის ახალი ელჩის მიერ რომში

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საფრანგეთის ახალი ელჩის ფრანსუა პონსეს მიერ რწმუნების სიგელების გადაცემას რომში, რაც გუშინ მოხდა. ამ სიგელებით ფაქტიურად და იურიდიულად ცნობილ იქნა იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა. ახალი ელჩი აკრედიტებულია „იტალიის მეფესა და აბისინიის იმპერატორთან“.

პრესა დიდ ოპტიმიზმს არ იჩენს საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის შემდგომი პერსპექტივების მიმართ და საკმაო სკეპტიკურად აფასებს ამ პერსპექტივებს. „პოპიულერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რომაელი ელჩის მიერ რწმუნების სიგელების გადაცემას თან სდევს იტალიური პრესის აგრესიული კამპანია საფრანგეთის მისამართით.

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის სესიაზე

პრაღა, 20 ნოემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის მიერ გუშინ მიღებული კანონპროექტები სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის ავტონომიის შესახებ რამდენადმე განსხვავდება თავდაპირველად შეტანილი პროექტისაგან. სლოვაკიის შესახებ მიღებული კანონის მიმართ ცვლილებები უმთავრესად ეხება სლოვაკიაში ჩეხური ენის ხმარების საკითხს. ერთიან სახელმწიფო ენად სლოვაკიისათვის დაწესებულია სლოვაკური ენა. ჩეხური ენის ხმარება სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთ დამოკიდებულების დროს ნებადართულია მხოლოდ ჩეხური ეროვნების პირთათვის. გერმანული, უნგრული, რუსული და უკრაინული ენა ოფიციალური დაწესებულებებისათვის მიმართვის დროს იხმარება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სათანადო ნაციონალური უმცირესობანი შეადგენენ მოსახლეობის სულ ცოტა 20 პროცენტს.

საბოლოოდ დადგენილია, რომ ჩეხოსლოვაკიის სამივე ავტონომიური ნაწილის — ჩეხიის, სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის — საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანოებს წარმოადგენენ, გარდა პრეზიდენტისა, სამინისტროები — საგარეო საქმეთა, სამხედრო, გზათა და ფინანსთა (მხოლოდ სახელმწიფო ვალების მმართველობის ხაზით). განზრახულია შეიქმნას კიდევ ერთი საერთო-რესპუბლიკური სამინისტრო — „ეკონომიური რეკონსტრუქციისა“.

იმიერკარპატის უკრაინის ავტონომიის შესახებ მიღებულ კანონში დატოვებულია ოლქის ძველი სახელწოდება — კარპატისძირა რუსეთი. შემცირებულია აგრეთვე ავტონომიური ლანდტაგის არჩევნების ვადა. დეპუტატმა რევაიმ შეიტანა წინადადება — ლანდტაგის არჩევნები ჩაეტარებინათ 18 თვის შემდეგ, მაგრამ პარლამენტმა გადასწყვიტა არჩევნები ჩაატაროს არაუგვიანეს 1939 წლის აპრილისა. ჟურნალისტთა წრეებში ფიქრობენ, რომ რევაის პროექტი ინსპირირებული და ჩამოყალიბებული იყო ბერლინის მიერ. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ რევაის წინადადება — იმიერკარპატის უკრაინის ლანდტაგი მხოლოდ 1940 წლის დასაწყისში იქნას მოწვეული, დაკავშირებულია ფაშისტური გერმანიის გეგმებთან, რომელსაც განზრახვა აქვს ამ დრომდე დაანაწილოს პოლონეთი და ხელში ჩაიგდოს დასავლეთი უკრაინა.

პარიზში ჩავიდა იტალიის ახალი ელჩი

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). დღეს პარიზში ჩამოვიდა იტალიის ახალი ელჩი გვარილია.

წელიწადნახევარზე მეტ ხანს იტალიაში საფრანგეთის ელჩის ფუნქციებს საქმეთა რწმუნებული ასრულებდა. მუსოლინიმ თავის დროზე დემონსტრატიულად გაიწვია პარიზიდან იტალიის ელჩი იმ საბუთით, რომ საფრანგეთი რომში წარმოდგენილი იყო საქმეთა რწმუნებულით და რომ იგი უარს ამბობდა ახალი ელჩის დანიშვნაზე, რათა თავიდან აეცილებინა აბისინიის დაპყრობის იურიდიული ცნობის შემცველი რწმუნების სიგელების გადაცემა მის მიერ, როგორც ამას ფაშისტური იტალია მოითხოვდა.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნა

პარიზი, 21 ნოემბერი (საკდესი). დღეს ნუაზი ლესეკში (პარიზის გარეუბანი) გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმი მიძღვნილია საფრანგეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის განხილვისადმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფი.

მოკლე ცნობები

● იმისათვის, რომ საჰაერო ბომბარდირების დროს თავიდან იქნას აცილებული მსხვერპლი, ჩინეთის მთავრობამ გასცა ბრძანება, რათა საბავშვო სკოლები ჩუნცინიდან გადატანილ იქნას ახლო-მახლო სოფლებში.

● როგორც ვენიდან იუწყებიან, რამდენიმე დღის წინათ ქვემო ავსტრიის ორ ქალაქში უმუშევართა დიდი ანტიფაშისტური გამოსვლები გაიმართა; მათ უარი განაცხადეს შეესრულებინათ განკარგულება იძულებითი სამუშაოებზე წასვლის შესახებ. აღშფოთებულმა მუშებმა დაარბიეს ფაშისტური „შრომის სამმართველოს“ შენობა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში

ჩინეთის ჯარი ემზადება კანტონზე გენერალური კონტრშეტევისათვის. ჩინეთის არტილერია კვლავ ყუმბარებს უშენს კანტონს მარგალიტის მდინარის მეორე ნაპირიდან. ჩინეთის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა იაპონელთა პოზიციებს ქალაქის განაპირა სადგურ ხუანშის რაიონში. ფრონტის ხაზის შემცირების მიზნით იაპონელებმა უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დასცალეს რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი კანტონის ირგვლივ. 18 ნოემბერს კანტონში მოვიდა კიდევ 5 ათასი იაპონელი ჯარისკაცი. იაპონელები ამოიდან და ფორმოზიდან მოელიან დამხმარე ძალებს 40 ათასი კაცის რაოდენობით.

სამშუის რაიონში ჩინელი პარტიზანები რამდენჯერმე თავს დაესხნენ იაპონელთა ერთეულებს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ.

პალესტინა. ინგლისელთა დამსჯელი რაზმის მიერ დარბეული არაბთა სოფელი.

(„სოიუზფოტო“)

უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარე ამხ. მართა კიბა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ნინო ჩხაიძის ციტრუსების ბაღნარში.

ფოტო ი. იმედაძისა

ინგლისის პრესა საფრანგეთ-ინგლისის მომავალი მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). ჩემბერლენისა და ჰალიფაქსის მომავალი მოლაპარაკება პარიზში ინგლისის დღევანდელი პრესის მთავარ თემას წარმოადგენს. პრესის საერთო ტონი ისეთია, რომ ებრაელთა დარბევამ გერმანიაში და ამით გამოწვეულმა პოლემიკამ ლონდონსა და ბერლინს შორის მეორე ადგილზე დააყენა „დამშვიდების“ პოლიტიკა, რომელსაც ჩემბერლენი ატარებს. ფიქრობენ, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების დროს პარიზის მოლაპარაკებაში უპირატესი ადგილი ექნება თავდაცვის საკითხებს, მაგრამ ამასთან მხედველობაში იქნება მიღებული „საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება, რომელიც ახლო მომავალში უნდა დაიდოს“.

მოლაპარაკება საფრანგეთსა და გერმანიას შორის საიდუმლო წესით მიმდინარეობს იმ მომენტიდან, როცა შესდგა ჰიტლერის გამოსათხოვარი საუბარი საფრანგეთის ყოფილ ელჩთან გერმანიაში პონსესთან.

ფიქრობენ, რომ რიბენტროპმა გამოსთქვა სურვილი გაფართოებულ იქნას მოლაპარაკება გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რათა გადაწყდეს საფრანგეთ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების საკითხი.

მაგრამ ეს საკითხი ეხება საფრანგეთის ვალდებულებებს სსრ კავშირისა და ინგლისის მიმართ.

უნგრეთის დამპყრობლური გეგმები

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). ბუდაპეშტიდან „ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტისაგან მიღებული ცნობით, უნგრეთის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ „უნგრეთი შეეცდება უახლოეს მომავალში დაიკავოს იმიერკარპატის უკრაინის ის ნაწილები, რომლებიც მას არ მიუღია ვენაში მომხდარ კონფერენციაზე“.

კორესპონდენტი იუწყება, რომ იმიერკარპატის უკრაინის ოკუპაცია ალბათ უნგრეთის ჯარის მიერ მოხდენილ იქნება პოლონეთის აქტიური დახმარებით. კორესპონდენტის ცნობათა მიხედვით, პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე თავმოყრილია 100 ათასი პოლონელი ჯარისკაცი. მუსოლინი, ამბობს კორესპონდენტი, მხარს უჭერს უნგრეთის მთავრობის განზრახვებს.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ 19 ნოემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე ინტერვენტებმა 20 ტანკის დახმარებით იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა ზოგიერთ პოზიციებზე მდინარე სეგრეს მარჯვენა ნაპირზე. გააფთრებული ბრძოლა გრძელდება. რესპუბლიკელები სავსებით ინარჩუნებენ თავის პოზიციებს.

რესპუბლიკელთა ბაიაგამანადგურებლებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები მოწინააღმდეგის ჯარის თავმოყრის ადგილს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ავიაციის მოქმედება

19 ნოემბერს დილით ფაშისტების „ჰაინკელის“ სისტემის 5 ორმოტორიანმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა სოფელ მონგატს (ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით). მოკლულია 5 კაცი და დაჭრილია 21, მეტწილად ქალები. რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა უკუაქციეს ფაშისტი თავდამსხმელები. ფაშისტების ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მისი ეკიპაჟიდან 4 კაცი პარაშუტით გადმოხტა და ზღვაში ჩავარდა.

ლატვიის რესპუბლიკის 20 წლისთავი

მისალმებათა გაცვლა-გამოცვლა

ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მუნტერსს:

ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 20 წლისთავის დღეს მაქვს პატივი სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გადმოგცეთ თქვენ, ბ-ნო მინისტრო, გულწრფელი მოლოცვა და გისურვოთ თქვენი ქვეყნის აყვავება და მისი ხალხის კეთილად ყოფნა.

ლიტვინოვი.

საპასუხოდ ბ-ნ მუნტერსისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

ლატვიის მთავრობის სახელით მაქვს პატივი გამოგიცხადოთ და გთხოვოთ გადასცეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას გრძნობით აღსავსე მადლობა ლატვიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის დღესასწაულის მეგობრული მოლოცვისათვის.

ლატვია დიდად აფასებს დიადი მეზობელი ხალხის მიერ კეთილად ყოფნისა და წარმატებების სურვილის გამოცხადებას დამოუკიდებლობის ღირსშესანიშნავ პერიოდში.

მუნტერსი.

(საკდესი).

1938 წლის 20 ნოემბერი.

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება იაპონია-მანჯურიის ჯარებში

ჩუნცინი, 21 ნოემბერი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ დიდი ანტიიაპონური აჯანყება მოხდა მანჯოუგოს ჯარში, რომელიც დაბანაკებულია დოლონორის (ჩახარის პროვინცია) რაიონში. აჯანყებულებმა, რომლებიც დაახლოებით ერთი დივიზიისაგან შესდგებოდნენ, ამოჟლიტეს იაპონელი მრჩევლები და ოფიცრები და განაცხადეს, რომ ჩინეთის ცენტრალური მთავრობის მხარეზე გადადიან. აჯანყების საბაბად გადაიქცა ის, რომ იაპონიის მრჩეველი მხეცურად გაუსწორდა ერთი ჩინელი მეთაურის შვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორაპნის კვანძი ცუდად ემზადება ზამთრისათვის

(ზესტაფონი, საქ. კორესპონდენტისაგან)

შორაპნის რკინიგზის კვანძის მუშაკები არასაკმაოდ იბრძვიან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლ. კაგანოვიჩის ბრძანება № 231ც-ს შესასრულებლად.

საორთქლმავლო საამქროში (უფროსი — კ. ბებრაშვილი) ავადმყოფი ორთქლმავლების რაოდენობა, ნაცვლად შემცირებისა, იზრდება. გეგმით იგი 17,9 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, სინამდვილეში კი 24,1 პროცენტს აღწევს. დეპოში 5 ორთქლმავალი საჭირო ნაწილების უქონლობის გამო ორი-სამი თვეა შეუკეთებლად დგას. ავადმყოფი ორთქლმავლების რიცხვის ზრდა იმის შედეგიცაა, რომ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნიდან დაბალი ხარისხით შეკეთებული ორთქლმავლები მოდის. მაგალითად, თბილისიდან მიღებულმა ორთქლმავალმა № 91004 მიღების შემდეგ 30 სხვადასხვა სახის შეკეთება განიცადა.

საორთქლმავლო საამქროს არ ჰყავს საკმაო კვალიფიციური კადრები. ამჟამად მათ აკლიათ ერთი მექვაბე, 4 ხარატი, 13 ზეინკალი, ელმონტიორი და ელექტრომუხრუჭების ზეინკალი, არა აქვთ სათანადო მასალები და სხვ. ეს იციან ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველოში, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

ორთქლმავლებს № 91026-სა და 91002-ს, რომლებიც ოქტომბერში ზეინკალმა კ. სარაულმა შეაკეთა, მეორე გარეცხვამდე უნდა ემუშავა, მაგრამ ისინი მალე ისევ შესაკეთებელი გახდნენ. 22 სექტემბერს რემონტიდან გამოშვებული ორთქლმავალი № 91001 იმავე დღეს სარემონტოდ დააბრუნეს.

ორთქლმავლების რემონტის უვარგისობის გამო არის შემადგენლობის გზაში გაჩერების შემთხვევებიც. სექტემბერში ეს ორჯერ მოხდა. მატარებელ № 91006 და 91010 ორთქლმავლის გაფუჭების გამო გაჩერდა რკვია-ბოსლევის ხაზზე, რამაც გამოიწვია მოძრაობის გრაფიკის დარღვევა.

თვით საორთქლმავლო საამქროს შენობის სახურავი უვარგისია, იატაკი დათხრილია და ორმოებიანია, სასილე შენობა პატარაა (სილის მარაგს ვერ იტევს). წყლის მისაღები მილები მომზადებული არ არის ზამთრისათვის, რის გამო მოსალოდნელია მათი შეყინვა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ შორაპნის საორთქლმავლო სამსახურის უფროსი (ამხ. გოგოლაძე) ზამთრის შესახვედრად ჯერ არ ემზადება.

აქ ჯერ არ ჩატარებულა შრომის ხელფასის მოწესრიგება სტალინური სახკომის ამხ. ლ. კაგანოვიჩის ბრძანების საფუძველზე. სამანევრო და საბარგო მოძრაობაზე მომუშავე მემანქანეები ერთნაირ ხელფასს ღებულობენ.

აღსანიშნავია, რომ საორთქლმავლო საამქრომ ამხ. ლ. კაგანოვიჩის ბრძანების საფუძველზე პრაქტიკულად გაატარა რგოლისებური მოძრაობის სისტემა, რამაც უკანასკნელ ორ თვეში კარგი შედეგები მოგვცა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სავაგონო საამქროში (უფროსი— დ. ბალდაძე). ამხ. ლ. კაგანოვიჩის ბრძანების № 231-ს მიხედვით მათ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს,— მოაწყეს მოსაცდელი ბინები, ავტომუხრუჭები და სადურგლო საამქრო. ააშენეს ძენძსაქლენთი შენობა და სხვ. წინათ ძენძს ხელით ქლენთავდნენ. იგი სწრაფად შრებოდა და იწვევდა ბუქსების ხშირ წვას. მაგალითად, წინათ ბუქსების წვის შემთხვევა დღეში 90-მდე აღწევდა, ახლა კი იგი 3-4-მდე შემცირდა. ბუქსების წვის შემცირებას დიდად შეუწყო ხელი ოსტატ ვ. გოლუბიანის წინადადებამ. გოლუბიანმა გამოიგონა ბალიში, რომელიც ძენძს ინახავს ბუქსში და უნარჩუნებს მას სინესტეს. ამხ. გოლუბიანი დაჯილდოვებულ იქნა 400 მანეთით. შემცირდა ავადმყოფ ვაგონების რაოდენობაც. ავადმყოფი ვაგონების პროცენტი დღე-ღამეში 24-დან შემცირდა 11,7-მდე.

თვით სადგურ შორაპნის მუშაობაც (უფროსი — შ. ფოცხვერია) ცუდი მაჩვენებლებით ხასიათდება. 9 თვეში სადგურს უნდა გადაეტვირთა 94.550 ვაგონი, ფაქტიურად გადატვირთა 73.791 ვაგონი.

ჭიათურის მარგანტრესტი სისტემატურად ვერ ასრულებს დღე-ღამეში გეგმით გათვალისწინებულ 350 ვაგონის დატვირთვას. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ შორაპნის სადგურს ჭიათურიდან დღე-ღამეში 350 ვაგონი მარგანეცი მიეღო. მაგალითად, 10 ოქტომბერს ჭიათურის მარგანტრესტმა მხოლოდ 208 ვაგონი დატვირთა, 17 ოქტომბერს — 215, ხოლო 24 ოქტომბერს — 247 ვაგონი.

ასევე ითქმის ფოთზედაც, საიდანაც ცარიელი ვაგონები თავის დროზე არ უბრუნდება შორაპანს.

სალიანდაგო მეურნეობაც არ არის წესრიგში. ლიანდაგის 60 პროცენტს შეკეთება ესაჭიროება. ისრების გადამყვანი ძელები და შპალები გამოსაცვლელია.

ზამთრისათვის საჭირო ტანსაცმელი და იარაღიც არ აქვს მომარაგებული. აკლიათ 70 წყვილი „პოლუშუბკა“, 87 „პლაში“, 104 ქუდი, 84 ჩექმა, 55 ცალი ფარანი და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ მეოთხე სალიანდაგო დისტანციის (უფროსი — ა. ახვლედიანი) მუშაკები მაინც აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ზამთრისათვის!

ნუთუ ეს მზადყოფნაა?

ვ. გოგიაშვილი.

მზადება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის

ყაზბეგი, (საქტესი). მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის ყაზბეგის რაიონი გამოყოფილია ერთ სააღწერო განყოფილებად და იგი დაყოფილია 7 საინსტრუქტორო და 26 სააღწერო უბნად.

1-ლი დეკემბრიდან რაიონში დაიწყება აღწერა სამ სოფლსაბჭოში. აღმწერებმა და ინსტრუქტორებმა, რომლებიც აღწერას 1-ლი დეკემბრიდან იწყებენ, უკვე გაიარეს სამდღიანი ინსტრუქტაჟი და საკმაოდ კარგად შეითვისეს მოსახლეობის აღწერის ტექნიკა.

1939 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა ჩატარებულ იქნას რაიონის დანარჩენი სოფლსაბჭოების მოსახლეობის აღწერა. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით დღემდე არაფერი კეთდება. არაა მომზადებული აღმწერთა კადრები, საკომლო დავთრები არაა მოყვანილი ჯეროვან მდგომარეობაში, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა აღწერის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობაში.

რაიაღმასკომთან ჩატარებულმა თათბირმა, რომელმაც მოისმინა მოხსენება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნული დეფექტების სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში დაიწყო ციტრუსების კრეფა. სურათზე: საუკეთესო სტახანოველი, კომკავშირელი ს. კავიტიძე კრეფს მანდარინს.

ფოტო ა. ფილიპოვისა

ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა კიბოსთან ბრძოლაში

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად კიბოსაგან იღუპება დაახლოვებით 2 მილიონი ადამიანი. მამაკაცებში კიბოსაგან სიკვდილიანობა 30 წლის ასაკის შემდეგ უახლოვდება ტუბერკულოზისაგან სიკვდილიანობას. დედაკაცებში კი სჭარბობს მას.

თავისი გავრცელებით ეს დაავადება სოციალურ დაავადებად ითვლება. კიბოსთან ბრძოლა თანამედროვე პირობებში დიდმნიშვნელოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

ხალხში გავრცელებულია აზრი, თითქოს კიბოს მკურნალობა უშედეგოა და უნაყოფო. ასეთი შეხედულება სრულიად არ შეეფერება საქმის თანამედროვე მდგომარეობას. დღესდღეობით მედიცინა იმდენად განვითარდა, იმდენად გამდიდრდა კიბოსთან საბრძოლველი საშუალებებით, რომ ეს ბრძოლა დღითიდღე უფროდაუფრო ნაყოფიერი ხდება.

კიბოსთან ბრძოლის კვირეული, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოში ტარდება, მიზნად ისახავს უფრო გაამახვილოს ექიმების ყურადღება ამ სენის წინააღმდეგ და მოსახლეობასაც მიაწოდოს ელემენტარული ცნობები ამ დაავადების შესახებ, რათა ამით კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდეს ამ დაავადებასთან ბრძოლა.

ეს კვირეული შემოღებულია რენტგენისა და რადიუმის აღმოჩენის წლისთავთან დაკავშირებით. 43 წლის წინათ ფიზიკოსმა რენტგენმა აღმოაჩინა სხივები, რომელთაც მან იქს სხივები უწოდა. ამ აღმოჩენამ მთელი ეპოქა შექმნა მეცნიერების ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ფიზიკაში. სხვათა შორის, რენტგენის სხივებმა დიდი ასპარეზი ჰპოვეს საზოგადოდ მედიცინაში და, კერძოდ, კიბოს დიაგნოსტიკასა და თერაპიაში.

ფრანგმა ფიზიკოსებმა პიერ და მარი კიურიმ აღმოაჩინეს რადიუმის სხივები, რომელთაც დიდი ადგილი დაიჭირეს დღეს კიბოს მკურნალობაში.

კიბოს მკურნალობა დღესდღეობით წარმატებით ტარდება ორნაირად: 1) დანით — ოპერაციით და 2) სხივებით—რადიუმით და რენტგენით. თვითეული ამ წესით ცალცალკე შესაძლოა კარგი შედეგების მიღწევა, მაგრამ ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ორი წესის კომბინირებული ხმარებით გაცილებით უკეთეს შედეგებს ვღებულობთ.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს დღეს კიბოსთან ბრძოლის კარგი საშუალებები, და მკურნალობის ეფექტებიც ტექნიკის განვითარებასთან ერთად დღითიდღე უმჯობესდება. მაგრამ ერთი მომენტი აფერხებს ამ საქმეს. ეს არის ავადმყოფების დაგვიანებითი მიმართვა საექიმო დახმარებისათვის.

საშვილოსნოს კიბოს შემთხვევები ადრეულ სტადიაში იძლევიან 80 პროცენტამდე განკურნებას. რაც უფრო დაგვიანებულია შემთხვევა, მით უფრო მცირეა ეს პროცენტი. ძუძუს კიბო ადრეულ სტადიაში იძლევა განკურნების 70-80 პროცენტს.

პროფესორი ბიხოვსკი ამბობს, რომ კიბოს მკურნალობის შედეგები მით უფრო სუსტია, რაც უფრო ძნელ მისადგომ ორგანოს ეკუთვნის ის დიაგნოზისათვის და მკურნალობისათვის.

თუ 40 წლის შემდეგ ქალს სისხლის დენა აქვს (განსაკუთრებით თვიურის უკვე მოთავების ასაკში), ასეთმა ქალმა უნდა მიმართოს გინეკოლოგს გასასინჯად. საზოგადოდაც ასეთი ასაკის ქალმა სასურველია დროდადრო გაასინჯვინოს თავი გინეკოლოგს.

თუ ქალს გაუჩნდა ძუძუზე რაიმე მკვრივი კვანძი, თუნდაც ის სრულებით არ აწუხებდეს მას, ეს ყოველთვის საეჭვოა კიბოზე.

თუ ადამიანს ამავე ასაკში ქრონიკული კუჭის ავადმყოფობა აქვს ტკივილით, უმადობით და პირის ღებინებით, ყოველთვის საჭიროა კუჭის წვენის გასინჯვა და რენტგენის სხივებით გაშუქება, რათა შესაძლებელი გახდეს კუჭის კიბოს დროზე აღმოჩენა და მკურნალობის ჩატარება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგი კიბოს დასაწყისი ფორმები: ძუძუს, საშვილოსნოს არავითარ ტკივილს არ იძლევიან ავადმყოფს კი თითქმის ყოველთვის ტკივილი აიძულებს ხოლმე მიმართოს ექიმს.

საბჭოთა კავშირში დღესდღეობით თითქმის ყველა საექიმო ცენტრში არსდება ონკოლოგიური პუნქტები; ამით გაადვილდება კიბოს ადრე ამოცნობა და ამით საბჭოთა კავშირს საშუალება მიეცემა მოწინავე ადგილი დაიჭიროს მთელ მსოფლიოში ამ ფრონტზეც — კიბოსთან ბრძოლის საქმეში.

პროფ. ბ. ლოლობერიძე

გ. ივანოვი

ესპანეთის ფრონტებზე

(სამხედრო მიმოხილვა)

მდინარე ებროს ფრონტზე 24 ივლისის ღამეს რესპუბლიკელთა მიერ დაწყებულ შეტევას ჰქონდა განსაზღვრული ამოცანა: აეძულებინათ ფაშისტები თავისი ძალების ნაწილი გადმოეყვანათ ლევანტის ფრონტიდან და ამით რესპუბლიკური ნაწილებისათვის შეემსუბუქებინათ ლევანტის ფრონტზე თავდაცვის მოწყობა. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ეს შეტევა მთელი ესპანეთისათვის უდიდეს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცა.

რესპუბლიკელთა წარმატება ებროზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ფაშისტები რესპუბლიკელთა ოპერაციის დაწყებიდან 5 დღის შემდეგ იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ თავისი მოქმედება საგუნტოსა და ვალენსიის წინააღმდეგ და მთელი თავისი რეზერვები ამ ფრონტიდან ებროზე გადაეყვანათ. 30 ივლისისათვის ფაშისტები ებროზე შეტევაზე გადავიდნენ. პირველად მათ დაიწყეს იგი ძალიან ფართოდ — 40 კილომეტრი სიგრძის ფრონტით. ფაშისტების კონტრშეტევის ცენტრი განდესთან იყო. ფაშისტები ფიქრობდნენ არა მარტო დაებრუნებინათ დაკარგული ტერიტორია ებროზე (700 კვადრატული კილომეტრი), არამედ დაემარცხებინათ აქ მოქმედი საუკეთესო რესპუბლიკური ნაწილები, ჰქონდათ რა მხედველობაში, რომ რესპუბლიკელებმა ვერ უზრუნველჰყვეს თავისთვის მდინარე ებროზე გადასასვლელთა საკმაო რაოდენობა.

მაგრამ ეს ვარაუდი ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა. ფაშისტებმა დიდი ზარალი განიცადეს, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს წინწაწევა ვერცერთი ნაბიჯით.

პრესტიჟის აღდგენისათვის ფაშისტები იძულებული გახდნენ დროებით შეეწყვიტნათ ყოველგვარი აქტივობა სხვა ფრონტებზე და მთელი თავისი ყურადღება ებროსთვის მიექციათ. მათ უარი სთქვეს ფართო ფრონტით საერთო შეტევაზე და გადასწყვიტეს ემოქმედნათ ვიწრო უბნებზე, სადაც საქმის წარმატებით გადაწყვეტა შეეძლებოდა არა ქვეითს ჯარს, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება რესპუბლიკელთა ქვეითს ჯარს, არამედ მატერიალურ ნაწილს.

22 აგვისტოს განდეს - კორბერის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ფაშისტებმა თავი მოუყარეს ქვეითი ჯარის დიდ ძალებს, რომლებიც სხვა ფრონტებიდან გადმოიყვანეს. აქვე თავმოყრილ იქნა არტილერიისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა დიდი რაოდენობა. ამ ძალებით, თითქმის მთელი ავიაციის მხარდაჭერით, ფაშისტები 22 აგვისტოს გადმოვიდნენ შეტევაზე, განდეს-კორბერ-მორა დე ებროს გზის გასწვრივ. მათი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ რესპუბლიკელთა მიერ დაპყრობილი ტერიტორია გაეჭრათ ორ ნაწილად — ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. უცხოეთის პრესის ცნობებით, ფაშისტთა ძალები ამ უბანზე 4-ჯერ სჭარბობდნენ რესპუბლიკელთა ჯარებს, ხოლო რაც შეეხება არტილერიას — 10-12-ჯერაც. უცხოელ კორესპონდენტთა სიტყვით, ლერიდასთან, ბალაგერთან, კასტელიონთან და ვივერის რაიონში წარმოებულ ყველაზე გამძაფრებულ ბრძოლებში ფაშისტებს არ უწარმოებიათ ისეთი ინტენსიური ცეცხლი, როგორც აქ. მიუხედავად მთელი ძალღონის დაჭიმვისა, ფაშისტებმა ვერ მოახერხეს თავისი ამოცანის განხორციელება. რესპუბლიკელთა ქვეითა ჯარმა შესძლო ყველა პოზიციების შენარჩუნება და ფაშისტებს დიდი ზარალი მიაყენა.

ამის შემდეგ ბრძოლა ებროსათვის საპოზიციო ბრძოლად გადაიქცა.

რესპუბლიკელთა საუკეთესო ქვეითმა ჯარმა ისარგებლა ხელსაყრელი პირობებით, რასაც მას აძლევდა ადგილმდებარეობა, და ფაშისტებს დიდ ზიანს აყენებდა, მაგრამ იმავე დროს, უნდოდა რა შეენარჩუნებინა თავისი ცოცხალი ძალა, იძულებული იყო დაეთმო მთელი რიგი დაკავებული სიმაღლეები და პოზიციები. უდიდესი დანაკარგების ფასად ფაშისტებმა მოახერხეს მთელი რიგი სიმაღლეების დაპყრობა განდესის გარშემო.



29 ოქტომბერს ფაშისტები გადავიდნენ შეტევაზე განდეს-კორბერის საზღვრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რათა გაედევნათ რესპუბლიკელები კორბერ-მორა დე ებროს გზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიიდან.

ამ შეტევაში ფაშისტების მხრიდან მონაწილეობას იღებდა ათამდე ქვეითი დივიზია, იტალიელთა კორპუსის ნაწილები, ასამდე საარტილერიო ბატარია და რამდენიმე ასეული თვითმფრინავი.

მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფაშისტებმა მოახერხეს 4-5 კილომეტრით წინწაწევა. რესპუბლიკელები, რომლებიც მტერს მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ და უდიდეს ზიანს აყენებდნენ, 5 ნოემბრისათვის გადავიდნენ მდინარე ებროს აღმოსავლეთ ნაპირზე, ვინაიდან მდინარის დასავლეთ ნაპირზე შემდგომი ბრძოლა უაზრო ხდებოდა, რაკი ფაშისტებს აშკარად მეტი ძალები ჰყავდათ. ფაშისტებმა მარტო რამდენიმე ასეული ათასი საარტილერიო ყუმბარა ისროლეს.

სამნახევარი თვე დასჭირდათ ფაშისტებს იმისათვის, რომ რესპუბლიკელთა პოზიციებისათვის ყოველდღე ცეცხლის დაშენით დაეხევინებინათ რესპუბლიკელებისათვის მდინარე ებროს აღმოსავლეთ ნაპირისაკენ, ამასთან სამხრეთის მხოლოდ ერთ ნაწილში მორა დე ებრო-ბენიფალეტის უბანზე. ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი კი, რომელიც რესპუბლიკელებმა დაიპყრეს ივლისის დამლევს და რომელიც მდებარეობს მორა დე ებრო-კორბერას გზის ჩრდილოეთით, ახლაც რესპუბლიკელთა ხელში რჩება.

ძვირად დაუჯდათ ფაშისტებს ეს ოპერაცია. მათ მოუკლეს და დაუჭრეს 80 ათასი საუკეთესო მებრძოლი, ხოლო 5 ათასამდე კაცი ტყვედ ჩავარდა. გარდა ამისა, ფაშისტებმა ებროზე ას თვითმფრინავზე მეტი დაჰკარგეს.

აღმოსავლეთის ფრონტზე რესპუბლიკური ჯარის იმ ნაწილების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომლებიც აქ თავდაცვაზე იყვნენ გადასული, რესპუბლიკელები 6 ნოემბერს გადავიდნენ მდინარე სეგრეზე ტორეს დე სეგრეს რაიონში და დაიწყეს შეტევა საერთო მიმართულებით ფრაგაზე.

შეტევის პირველსავე დღეს რესპუბლიკელებმა წაიწიეს სიღრმეში 5-10 კილომეტრით, ხელთ იგდეს 500-მდე ტყვე, დიდძალი იარაღი და საბრძოლო მასალა. რესპუბლიკელებმა დაიკავეს სამი დიდი დასახლებული პუნქტი: სოსესი, აიტონა და სეროსი.

ფაშისტებმა დაჩქარებით გადმოიყვანეს აქ რეზერვები. ამჟამად რესპუბლიკელთა მიერ მდინარე სეგრეს დასავლეთ ნაპირზე დაპყრობილ რაიონში გაჩაღდა მედგარი ბრძოლები.

ლევანტის ფრონტზე 7 ნოემბერს რესპუბლიკელები აგრეთვე გადავიდნენ შეტევაზე ნულესის მიმართულებით. გაარღვიეს რა ფაშისტების ფრონტი, რესპუბლიკელები 9 ნოემბერს გავიდნენ ნულესის სამხრეთ ნაწილში. ბრძოლის პირველ დღეს რესპუბლიკელებმა აქ ხელთ იგდეს რამდენიმე ასეული ტყვე, მათ რიცხვში ასზე მეტი მაროკოელი, დიდძალი იარაღი და გაანადგურეს ფაშისტების 5 ტანკი.

რესპუბლიკელთა მცირერიცხოვანი ავიაცია კვლავინდებურად აწარმოებს გმირულ ბრძოლას ჰაერში.

ფაშისტურმა ავიაციამ დიდი ზარალი განიცადა და ამჟამად ყოველნაირად ერიდება რესპუბლიკურ თვითმფრინავებთან შეხვედრას. უცხოეთის პრესის გამოთვლით, მხოლოდ 15 სექტემბრიდან დღემდე ფაშისტებმა დაჰკარგეს 111 თვითმფრინავი, რომელთა უმრავლესობა ჩამოაგდეს რესპუბლიკელთა გამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლებში.

ესპანეთის ფრონტებზე ბრძოლის უკანასკნელმა თვეებმა გვიჩვენეს, რომ მეამბოხეებისა და ინტერვენტების ქვეითი ჯარის ხარისხი განუწყვეტლივ უარესდება. პირიქით, რესპუბლიკელთა ქვეითი ჯარი, დღითიდღე სულ უფრო და უფრო მტკიცდება და იწრთობა.

მხოლოდ ტექნიკის, განსაკუთრებით არტილერიისა და ავიაციის მხრივ უპირატესობის მეოხებით აღწევენ ფაშისტები ნაწილობრივ წარმატებებს, როგორც, მაგალითად, ებროს ფრონტზე. დამახასიათებელია, რომ რომელიმე წარმატებისათვის ფაშისტები იძულებული არიან მრავალჯერ გაადიდონ ძალთა რიცხობრივი რაოდენობა და შეტევის საშუალებანი. ყველა კაპიტალისტური არმიების წესდების მიხედვით შეტევაზე გადასულ მხარეს უნდა ჰქონდეს სამჯერ მეტი ძალები და საშუალებები, ესპანეთში კი მეამბოხეები და ინტერვენტები იძულებული არიან 6-10-ჯერ მეტი ძალა გამოიყვანონ რესპუბლიკელთა წინააღმდეგ. ასეთ უპირატესობას ფაშისტები აღწევენ მხოლოდ და მხოლოდ ინტერვენტების დახმარებით, იტალიისა და გერმანიის სამხედრო მრეწველობის ხარჯზე.

ამჟამად რესპუბლიკური ესპანეთის ფრონტებზე აღარ არის არცერთი ინტერნაციონალისტი ჯარისკაცი. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური არმიის ბრძოლისუნარიანობა არ შემცირებულა. ამას მოწმობს თუნდაც მდინარე სეგრეზე და ლევანტის ფრონტზე რესპუბლიკელთა უკანასკნელი შეტევის ფაქტი.

მეამბოხეებს ახლა ინტერვენტების დახმარება რომ მოაკლდეთ, მათი სწრაფი განადგურება არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა. ინტერვენტებმა კარგად იციან ეს და ამიტომ აძლიერებენ თავის დახმარებას.

და მაინც, ბრძოლის განსაკუთრებით ძნელი პირობების მიუხედავად, ესპანეთის ხალხი გმირულად იცავს და დაიცავს თავის სამშობლოს და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ფაშისტ ბარბაროსებისაგან.

◆

„დიადი განთიადი“ ლენინგრადის კინოთეატრებში

ლენინგრადი, 21 ნოემბერი (ტელეგრაფით საქ. კორ.). ლენინგრადის 10 კინოთეატრში, კულტურის 5 სახლში, 8 კლუბში დიდი წარმატებით უჩვენებენ ფილმ „დიად განთიადს“. დიდი მოთხოვნილების მქონე ლენინგრადელი ახალგაზრდობა და საბჭოთა ინტელიგენცია მოხიბლული არიან ამ ფილმით. კინოებს იმდენი ხალხი აწყდება, რომ შემოღებულია ღამის მე-7 სეანსი. ბილეთები ორი დღით ადრე იყიდება. ლენინისა და სტალინის ეკრანზე გამოჩენა მქუხარე ტაშს იწვევს. ყველანი აღნიშნავენ მიუფკესა და გელოვანის უეჭველ ნიჭს. მაყურებლისათვის დაუვიწყარი რჩება გასაოცრად გაკეთებული კადრები — ლენინის ქოხი და პარტიის VI ყრილობა, რომელზედაც სტალინმა ამხილა რევოლუციის შტრეიკბრეხერები. ფრონტზე დამობილიზებისა და ცეკვის სცენას მაყურებელი ისეთი გულწრფელი გრძნობებით განიცდის, რომ ჩემს გვერდზე მჯდომმა უცნობმა აღფრთოვანებით წამოიძახა: „ეს მარტო მშვენიერი კადრები კი არ არის, ეს არის რეჟისორის, კომპოზიტორის და შემსრულებელთა ნიჭის ტრიუმფი“. სამი დღის განმავლობაში სურათი ნახა 210 ათასზე მეტმა კაცმა. შთაბეჭდილებათა წიგნში შეტანილია შესანიშნავი გამოხმაურებანი ფილმზე. მაყურებლები, რომლებიც იცნობენ ახალგაზრდა მსახიობ ბალაშვილს, აღნიშნავენ მის უეჭველ ზრდას.

ლენინგრადის ლექტორიუმის მიწვევით ლენინგრადში ჩამოვიდა რეჟისორი ჭიაურელი. ლექტორიუმის დიდ დარბაზში შესდგა მისი შეხვედრა მაყურებლებთან და „ლენფილმის“ მუშაკებთან. ჭიაურელის შემოქმედებითი გზის შესახებ შესავალი სიტყვით გამოვიდა ცნობილი კინორეჟისორი არნშტამი. იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა ფილმი, დამსწრეთ უამბო თვით ავტორმა. დამსწრენი მას აღფრთოვანებით შეხვდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფილმის განხილვაში. ფილმს მეტად მაღალი შეფასება მიეცა. შეხვედრა გვიან ღამით დამთავრდა. ჭიაურელმა ლენინგრადის ლექტორიუმში ჩაატარა სულ 4 მოხსენება, ერთი მათგანი სპეციალურად ლენინგრადელი პიონერებისათვის. თვითეული მოხსნების შემდეგ ლექტორიუმი აჩვენებდა ფილმ „დიად განთიადს“.

* * *

18 ნოემბერს ქარხანა „ელექტროსილას“ პროპაგანდისტების ჯგუფმა ნახა ფილმი „დიადი განთიადი“.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში მათ განაცხადეს: ფილმი „დიადი განთიადი“ არა მარტო მაღალმხატვრული ისტორიულ-რევოლუციური სურათია, არამედ საუცხოო მასალაა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ოთარ ეგაძე

ახალი ფილმი

ლენინგრადი, 21 ნოემბერი (ტელეგრ. საქ. კორ.). ლენინგრადში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი რეჟისორი ჭიაურელი, ფილმ „დიადი განთიადის“ დამდგმელი. ცენტრალურმა ლექტორიუმმა მოაწყო ლენინგრადელთა და რეჟისორის შეხვედრის ორი შემოქმედებითი საღამო. მოხსენება ჭიაურელის შემოქმედების შესახებ გააკეთა პროფესორმა იეზუიტოვმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ჭიაურელმა გაუზიარა მათ თავისი შემოქმედებითი გეგმები. მან სთქვა: „ამჟამად მე ვმუშაობ ახალ ფილმზე „ფიცი“. მასში ნაჩვენები იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთერთი დაძაბული პერიოდი—ლენინის ავადმყოფობა და გარდაცვალება, პარტიისადმი მტრული ძალების დაჯგუფებათა შექმნა, ლენინის ანდერძის გარშემო ხალხთა მჭიდროდ დარაზმვა. ფილმის დასასრულ, მოყვანილი იქნება ლენინის საქმის დიადი განმგრძობის ისტორიული ფიცი — სტალინის სიტყვა საბჭოების სრულიად-საკავშირო II ყრილობაზე. ამჟამად მე ცაგარელთან და პერესტიანთან ერთად ვამუშავებ სცენარს. ფილმს 1939 წელს გამოუშვებს თბილისის კინოსტუდია“.

ვ. ხალილოვი

საბჭოთა ახალი რენტგენის აპარატი

მოსკოვი, 21 ნოემბერი (საქტესი). რენტგენის სხივებით მკურნალობამ ფართო პოპულარობა მოიპოვა. ამ სხივების შემწეობით შესაძლო გახდა ფილტვების ტუბერკულოზის, ძვლების დაზიანების, ავთვისებიან სიმსივნეთა დროულად გამომჟღავნება.

მოსკოვის რენტგენის ქარხანამ დაამთავრა საბჭოთა კავშირში პირველი საცდელი მძლავრი რენტგენის აპარატის დამზადება, რომლის ძაბვა 500 ათას ვოლტს შეადგენს.

ახალი აპარატი უკვე მიმდინარე წელს დაიდგმება რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტში.

მეცხენეობის ჯიშობრივი დარაიონებისათვის

სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ დამუშავებული პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების პროექტის საჯარო განხილვის და საბოლოოდ დამუშავების შემდეგ მისი ცხოვრებაში გატარება უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი ღონისძიება იქნება საქართველოს სსრ მეცხენეობის ხარისხობრივი გაუმჯობესების დაჩქარებისათვის.

პროექტი ითვალისწინებს გეგმური ჯიშების შემდეგნაირ განაწილებას: ჩორთმავალი ჯიში — გორის რაიონში, არდენული — ალბულაღის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკისა და ლუქსემბურგის რაიონებში, ყაბარდოული და ინგლისურ - ყაბარდოული — რესპუბლიკის ყველა დანარჩენ რაიონში.

პირველ ყოვლისა, უნდა გამოირკვეს, შეუძლიათ თუ არა ჩვენში არსებულ ცხენებს დააკმაყოფილონ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ტრანსპორტის და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილება. და თუ საჭირო შეიქნა ცხენის გაუმჯობესება, რომელი ჯიში უნდა იყოს გამოყენებული. ცხენის ჯიშების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მწარმოებლების სიუხვე და მათი შეძენის ადვილი შესაძლებლობა.

ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებული ცხენები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ადგილობრივი მსუბუქი (საჯდომი) და 2. მომძიმო (შესაბმელი) ტიპის ცხენები. საქართველოში გავრცელებული ცხენების მთლიანი რაოდენობიდან 85—90 პროცენტი საჯდომი ჯგუფის ცხენები არიან. მოსახლეობა ამ ჯგუფის ცხენებს იყენებს უნაგირქვეშ, საპალნის ზიდვაში და შებმულს — მსუბუქ სამუშაოზე. აღნიშნული ტიპის ცხენები საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული.

როგორც მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების პროექტიდან სჩანს, საქართველოს ესაჭიროება ორივე ტიპის გაუმჯობესებული ცხენი, მხოლოდ ძირითადად მიჩნეულია მსუბუქი (საჯდომი) ტიპის ცხენი; მომძიმო (შესაბმელ) ცხენს მეორე ადგილი ეთმობა. ამგვარად, ჯიშობრივი დარაიონების გეგმის პროექტი საქართველოს პირობებისათვის ძირითადად სწორი მიმართულებით არის მოცემული, ხოლო საჭიროებს ზოგიერთ შესწორებას.

პროექტის მიხედვით არდენული ჯიშის ცხენი ნაგულისხმევია: ალბულაღის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკისა და ლუქსემბურგის რაიონებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი რაიონებიდან, ძირითადად მხოლოდ ბოგდანოვკის რაიონში მისდევენ მძიმე ტიპის ცხენის მოშენებას. ამ ჯიშისათვის პროექტში მოცემულ დანარჩენ რაიონებში უმთავრესად გავრცელებულია მსუბუქი ტიპის ცხენი და ამიტომ მიზანშეწონილია ამ ცხენების გაუმჯობესება საჯდომი ტიპის ცხენებით. ამგვარად არდენული ჯიშის ცხენი გამოყენებული უნდა იქნას ბოგდანოვკის რაიონისათვის, ხოლო დანარჩენ რაიონებში არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ.

პროექტში არ არის გათვალისწინებული არდენული ჯიში სხვა რაიონებისათვის. ჩემის აზრით, თბილისის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხისა და ყარაიას რაიონებში არსებული მომძიმო ტიპის ცხენისათვის გამოყენებულ უნდა იქნას არდენული ჯიში.

ზემოთაღნიშნულ რაიონებში და რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში მსუბუქი ტიპის ცხენების გასაუმჯობესებლად გამოყენებულ უნდა იქნას საჯდომი ტიპის ცხენის ჯიშები. აქედან მთავარი კავკასიონის ქედის კალთებზე მდებარე რაიონების: ყაზბეგის, ჯავის, ონის, ცაგერის, ზემო-სვანეთის და ქვემო-სვანეთის ცხენებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ყაბარდოული და ინგლისურ-ყაბარდოული ჯიშები. ამ რაიონებში, როგორც ძველად, ისე შემდეგაც ცხენები საკმაო რაოდენობით შემოყვანილია კავკასიონის ქედის იქითა მდებარე ავტონომიური რესპუბლიკებიდან. აქედან ცხადია, რომ აღნიშნული რაიონების ცხენებზე ყაბარდოული ჯიშის გავლენა დიდი იქნება. ამ რაიონის მოსახლეობა ყაბარდოულ ცხენს, როგორც სამომხმარებლოს, ისე სანაშენოდ დიდად აფასებს და ეს ცხენი მთაში პოპულარულია.

საჯდომი ტიპის ცხენის მოშენების ყველა დანარჩენ რაიონში, პროექტით გათვალისწინებული ჯიშის გარდა გამოყენებულ უნდა იქნას ინგლისური სადოლე ცხენი და მისი მეტისები. ინგლისური სადოლე ცხენის აუცილებლობა მტკიცებას არ საჭიროებს, რადგან ცნობილია, რომ ამ ჯიშმა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი როლი ითამაშა ახალი ჯიშების ჩამოყალიბებასა და მრავალი ჯიშის ცხენების გაუმჯობესებაში. ამ ჯიშს უაღრესად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მთლიანად სსრ კავშირისათვის დამუშავებულ მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების პროექტშიც. მისი გამოყენება ჩვენში მით უმეტეს მიზანშეწონილია, რომ მუხროვანის და ყულარის ცხენთსაშენები რაიონებს მწარმოებლებით უზრუნველჰყოფენ.

გორის რაიონისათვის ჩორთმავალი ჯიშის გაადგილება არასწორად მიმაჩნია. ამ რაიონში, ისე როგორც მის მეზობელ რაიონებში, ხდება მსუბუქი (საჯდომი) ტიპის ცხენის მოშენება. აქ არც ძველად და არც უკანასკნელ ხანებში ჩორთმავალი ცხენის მოთხოვნილება არ ყოფილა. გორის რაიონის მეცხენეობაც უნდა უმჯობესდებოდეს საჯდომი ტიპის ცხენებით.

დოც. ნ. ცაგარელი

მელიტონ ბალანჩივაძე

ერთი წლის წინათ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული რომანსისა და საოპერო მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. თუ ზაქარია ფალიაშვილმა ქართული ოპერა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ოპერათა შედევრების მწვერვალზე „აიყვანა, რაც ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი ოპერის გასტროლების დროს ლენინგრადში ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა, როგორიც პროფ. გინზბურგია, სამაგიეროდ მელიტონ ბალანჩივაძემ პირველი ტონი მისცა და ფეხი აუდგა ქართულ ოპერას.

მელიტონ ბალანჩივაძე დაიბადა 1862 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან, როგორც საკმაოდ კარგი ხმითა და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულმა ხელი მოჰკიდა მუსიკალურ ფრონტზე მოღვაწეობას. უკვე 1880 წელს მას თბილისის ოპერის გუნდში ვხედავთ, ხოლო 1889 წელს საკომპოზიციო განათლების მისაღებად იგი პეტერბურგის კონსერვატორიაში შედის, სადაც მისი მთავარი ხელმძღვანელი იყო ცნობილი რუსი კომპოზიტორი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, რომლის მდიდარი მუსიკალური ერუდიცია და პრინციპები შემდეგში მშვენივრად გამოიყენა მ. ბალანჩივაძემ თავის შემოქმედებაში. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე 1897 წელს მ. ბალანჩივაძე შეუდგა პირველი ქართული ოპერის „დარეჯან ცბიერის" შექმნას, რომლის დამთავრება მან მხოლოდ სტალინურ ეპოქაში შესძლო.

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ყველა შემოქმედს, ისე მ. ბალანჩივაძესაც დიდად შეუწყო ხელი, ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობაში.

„დარეჯან ცბიერი" მ. ბალანჩივაძის შემოქმედების დედაბოძია. ოპერის შესავალშივე, უვერტიურაში სასულე საკრავების ოსტატური გამოყენებით მთელი გრანდიოზულობით არის მოცემული „მეფური დრამისა" და კეთილშობილებით აღსავსე პოეტის გოჩას ლეიტმოტივი. ქართული ჩონგურის მელოდიებზე ზედმიწევნით ნიჭიერად და ლამაზად დაწერილი ცირას „ნანა" ერთერთი ფრიად საპასუხისმგებლო პარტიაა პირველ-ხარისხოვანი კოლორატურული სოპრანოსათვის. გოჩას პარტია იმავე ოპერაში ბარიტონის ერთერთი წარმტაცი პარტიაა, სადაც საჭიროა ხმის მჭექარე მაღლებისა და სილბოს გამოაშკარავება.

ბარიტონისათვის დაწერილ ქართულ მუსიკალურ ლიტერატურაში თანმიმდევრული განვითარებისა და მაღალი აღმაფრენის მხრივ ამ არიას მხოლოდ აბდულ არაბის (დ. არაყიშვილის ოპერა — „შოთა რუსთაველი") არია თუ შეედრება („მადლობა ღმერთს").

არანაკლებ მნიშვნელოვანია დარეჯანის დიდი არია „ისე ვით მთვარე", დაწერილი მძლავრი და მაღალი მეცო-სოპრანოსთვის, გიორგი მეფის ცენტრალური არია ოპერის ბოლო მოქმედებაში (მაღალი ბანისათვის) და „მასხარას" მეტად მუსიკალური კუპლეტები (ლირიკული ტენორისათვის).

ამ ოპერის მუსიკალური ფაქტურა სავსებით შეესაბამება აკაკის სიტყვიერ მასალას, მოქმედ პირთა ხასიათს და თავგადასავალს. აკაკის მადლიანმა მხატვრულმა სიტყვამ და სიუჟეტის დინამიურმა განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ოპერის მაღალ მხატვრულ სიმაღლემდე ასვლას.

მელიტონ ბალანჩივაძის მრავალმხრივი მუსიკალური მოღვაწეობა მარტო საოპერო შემოქმედებით როდი განისაზღვრება. მელიტონი ცნობილია აგრეთვე როგორც მთელი რიგი მშვენიერი და მეტად ეფექტიანი რომანსების ავტორი.

გარდა ამისა, თავისი მოღვაწეობის ჯერ კიდევ პირველი წლებიდანვე მელიტონს დიდი ამაგი მიუძღვის ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შეგროვება-დამუშავებაში, ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლინებასა და მათთვის გზის გაკაფვაში. მის მიერ ჩამოყალიბებულ გუნდს ძველი რუსეთის არაერთი ქალაქი მოუვლია, კონცერტები გაუმართავს და მშვენიერი ქართული ჰანგების შესრულებით აღტაცება გამოუწვევია. ათასგვარი დაბრკოლებითა და ტანჯვით სავსე გზაზე, რასაც მეფის მთავრობა ჰქმნიდა, მელიტონმა დიდხანს, გმირულად იარა და საკმაო კვალიც დასტოვა.

სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ ჯეროვნად დაუფასა მას ესოდენ დიდი ღვაწლი და 1934 წელს სახალხო არტისტის მაღალი სახელი მიაკუთვნა.

1937 წელს მოსკოვში ქართული მუსიკის დეკადის დროს, ის მეორე მაღალი ჯილდოთი—შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

მ. ბალანჩივაძის ინიციატივით დაარსდა ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმი, რომელიც მის სახელს ატარებს. ამ ტექნიკუმიდან გამოვიდნენ საბჭოთა კავშირში საკმაოდ ცნობილი მომღერლები—ნ. ცომაია და პ. ამირანაშვილი, რომლებიც სხვებთან ერთად ჩვენი ოპერის წამყვან ძალებს წარმოადგენენ.

მხცოვან კომპოზიტორს ბოლომდე არ დაუკარგავს ახალგაზრდული ენერგია. იგი ჭაბუკური ენტუზიაზმით განაგრძობდა თავის კერაში, ქუთაისის ტექნიკუმში მოღვაწეობას და თვითეულ ხმას სათუთი ყვავილივით ზრდიდა, უვლიდა.

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ასეთ უანგარო მოღვაწეებს.

შ. კაშმაძე

პარტიული ცხოვრება

პარტიული აქტივის კრებებზე

ქუიბიშევის ოლქის რაიონებში დიდი აქტივობით მიმდინარეობს პარტიული აქტივის კრებები, რომლებზედაც იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

პირველადს პარტორგანიზაციებში აქტივიდან მივლინებულია 34 კაცი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსამარტავად.

○

19 ნოემბერს მინსკის გარნიზონის პარტიული აქტივის კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების თაობაზე. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა მის შესასრულებლად.

(საკდესი).

ეცნობიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

საქ. კ. პ. (ბ) ყარაიის რაიკომის მიერ მოწვეულ იქნა პარტკომის მდივნებისა და პარტორგების რაიონული თათბირი. თათბირზე პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ბუთხუზმა წაიკითხა და განმარტა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

თათბირმა ერთხმად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება და მის შესასრულებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ი. ჯმუხაძე.

პარტკომის მდივნებისა და პარტორგების საქალაქო თათბირი

სოხუმი, 21 ნოემბერი (საქ. კორესპონდენტისაგან). დღეს საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა ქალაქის პარტორგანიზაციების პარტკომის მდივნებისა და პარტორგების თათბირი.

თათბირმა მოისმინა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. გ. ტრაპაიძის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

თათბირზე მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების გასაცნობად მშრომელთათვის.

გ. მერკვილაძე

პარტაქტივის თათბირი

ბორჯომი, 21 ნოემბერი (საქდესი). 20 ნოემბერს პარტკაბინეტში ჩატარდა ქალაქის პარტაქტივის თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანმა ამხ. კუხალეიშვილმა. პარტიის ც. კ-ის დადგენილების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საფუძვლიანად განხილვის მიზნით რაიკომმა პირველადს პარტორგანიზაციებს მიამაგრა პასუხისმგებელი ამხანაგები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

პლეხანოვის სახელობის კლუბში სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონ-სარემონტო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება 35 წუთის დაგვიანებით დაიწყო. 687 კომკავშირელიდან მას მხოლოდ 460 დაესწრო. კომიტეტის მდივნის ამხ. პ. გულაშვილის მოხსენება თვითკრიტიკული იყო, მომხსენებელმა სამართლიანად გააკრიტიკა კომკავშირის ლენინის რაიკომის მუშაობა.

ქარხნის ადმინისტრაცია კომკავშირის ორგანიზაციას არ უქმნის მუშაობის ნორმალურ პირობებს და ნაკლებად ზრუნავს ახალგაზრდა კადრების დაწინაურებისათვის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მიმდინარე წელს პოლიტგანყოფილებამ კომკავშირის კომიტეტს მოსთხოვა 8 კომკავშირელი პროპაგანდისტთა კურსებზე გასაგზავნად, მაგრამ ქარხნის ადმინისტრაციამ და პარტიულმა კომიტეტმა უარი განაცხადეს მათ გაგზავნაზე.

საანგარიშო მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25 ამხანაგმა.

კომკავშირის პოლიტსკოლების და ტექმინიმუმის წრეების სუსტ მუშაობაზე ილაპარაკა ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. შ. კობაძემ.

კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა კომკავშირის კომიტეტის მუშაობა.

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტში არჩეულ იქნა 9 კაცი, კომკავშირის ლენრაიონის კონფერენციაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 27 დელეგატი.

ლ. გვარამაძე.

თბილისი. ფაბრიკა „მკერავი № 2"-ის დირექტორი ორდენოსანი ამხ. ს. ვაშაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. მ. არაქელოვა სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

პატარა ფელეტონი

ბიუროკრატიზმი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

..და ეს საქმეც ჩვეულებრივად დაიწყო. დიახ! მხოლოდ დაიწყო...

1936 წლის 18 აგვისტო. საქართველოს კავშირგაბმულობის სამმართველომ გასცა ფიცხელი ბრძანება № 5-4. დაევალა სამმართველოს ბუხჰალტერ-ინსპექტორს ამხ. ი. ნავთიკოვს მოეხდინა დოკუმენტალური რევიზია დასავლეთ საქართველოს კავშირგაბმულობის მე-8 ტექნიკურ კვანძში.

... და ნავთიკოვიც გაემგზავრა დანიშნულებისამებრ...

1936 წლის 28 აგვისტო. დამთავრდა რევიზია. დაიწერა აქტი და მოხსენებითი ბარათი. კვანძის უფროსს გალაქტიონ შენგელიას აღმოაჩნდა ყალბი დოკუმენტებით მითვისებული 5.612 მან. და 94 კაპ.

კავშირგაბმულობის სამმართველოდან კვანძი ღებულობდა მასალებს და იარაღებს და ყოველივე ამას გ. შენგელია თავისთავზე ჰყიდდა გადამეტებულ ფასებში. მავთულის ხვევი 10 მანეთიანი დოლი მან 40 მანეთად გადააფასა. 75 კაპიკიანი ნაჯახი—3 მანეთად და სხვადასხვა. განსხვავება ყოვლისშემძლე გალაქტიონის ჯიბეში ჩავიდა, ხოლო სალაროში—მისი შვილის გოგის მიერ შედგენილი ყალბი ანგარიშები.

ბუხჰალტერ-ინსპექტორი მოითხოვს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას.

1936 წლის 25 ოქტომბერი. ნავთიკოვის დასკვნის შედეგად დაიწერა ბრძანება კავშირგაბმულობის სამმართველოსადმი. მაგრამ არა გ. შენგელიას პასუხისგებაში მიცემის შესახებ, არამედ იმაზე, რომ „საჭიროდ" იქნა ცნობილი ხელმეორედ გამოსარკვევად ადგილზე არა ბუხჰალტერ-ინსპექტორის, არამედ ტექნიკური ინსპექტორის მივლინება.

... და ამ მიზნით იგზავნება ქუთაისში კავშირგაბმულობის სამმართველოს ტექნიკური ინსპექტორი ამხ. პავლე ცომაია.

1936 წლის 4 დეკემბერი. დამთავრდა განმეორებითი რევიზია. სავსებით დადასტურდა ი. ნავთიკოვის დასკვნები. დაემატა კიდევ ახალი ბრალდება: გ. შენგელიას მითვისებული აღმოაჩნდა 1.355 კილოგრამი 4-მილიმეტრიანი რკინისა და 184 კილოგრამი ბრინჯაოს მავთული.

ტექნიკური ინსპექტორი მოითხოვს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას.

1937 წლის 7 იანვარი. დაიწერა ბრძანება № 7-1 კავშირგაბმულობის სამმართველოსადმი: „ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო გ. შენგელია თუმცა ღირსია მკაცრი სასჯელისა სამსახურიდან მოხსნით და პასუხისგებაში მიცემით, მაგრამ ვღებულობ რა მხედველობაში მის უმწიკვლო მუშაობას (?!) კავშირგაბმულობის უწყებაში... ვუცხადებ საყვედურს გაფრთხილებით".

1937 წლის 15 იანვარი. კავშირგაბმულობის სამმართველოსთან არსებულმა პროკურატურის დამხმარე უჯრედმა ამ „ქრისტიანული" ბრძანების შესახებ პროტესტი შეიტანა რესპუბლიკის პროკურორთან.

უჯრედი მოითხოვს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას...

1937 წლის 21 თებერვალი. კავშირგაბმულობის სამმართველოს მიერ დაიწერა ბრძანება № 157-1, რომლის მიხედვით, მე-8 ტექნიკური კვანძის უფროსი გ. შენგელია... დაჯილდოვებულ იქნა ერთი თვის ხელფასით.

1937 წლის 28 მარტი. პროკურატურის დამხმარე უჯრედი ამ ბოროტმოქმედების შესახებ კვლავ ჰგზავნის ცნობას თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის სახელზე და მოითხოვს საქმეში მის ჩარევას.

1937 წლის 10 აპრილი. პროკურატურის დამხმარე უჯრედი განმეორებით უგზავნის ცნობას რესპუბლიკის პროკურორს და მოითხოვს საქმის გამორკვევას.

საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს, მაგრამ...

1937 წლის 1 ივნისი. პროკურატურის დამხმარე უჯრედი ჰგზავნის წერილს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის სახელზე და მოითხოვს პასუხს.

... და ოთხი თვის შემდეგ...

1937 წლის 4 ოქტომბერი. რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი გ. ბერიძე იძლევა ოფიციალურ ცნობას, რომ მან დაამთავრა გალაქტიონ შენგელიას საქმის გამოძიება და წაუყენა რა მას 114 მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, საქმე № 26 გადასცა ზესტაფონის სახალხო სასამართლოს. დიახ! ზესტაფონისას!

ხუთი თვის შემდეგ...

1938 წლის 7 თებერვალი. კავშირგაბმულობის სამმართველო ჰგზავნის მიმართვას № 5-11 ზესტაფონის სახალხო სასამართლოს სახელზე. მოითხოვს პასუხს, თუ რა მდგომარეობაშია საქმე № 26.

1938 წლის 11 თებერვალი. ზესტაფონიდან მოდის პასუხი. მოსამართლე იტყობინება: „საქმე შენგელიას და სხვების 2 ივნისს 1937 წლის № 301 ქვეშ წარდგენილია უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის განყოფილებაში სხვა სასამართლოზე გადასაცემად" (?!).

1938 წლის 16 მარტი. კავშირგაბმულობის რწმუნებულის სამმართველოს მიმართვა ორი მისამართით: უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ასლი რესპუბლიკის პროკურორს. მოითხოვენ: საქმის მონახვას და მსვლელობის მიცემას.

პროკურატურა კვლავ სდუმს. უმაღლესი სასამართლო კი...

1938 წლის 13 აპრილი. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარის მეუნარგიას და მდივნის კვიტაშვილის ხელმოწერით კავშირგაბმულობის სამმართველო ღებულობს პასუხს: „უმაღლესი სასამართლო გაცნობებთ, რომ მე-8 ტექნიკუმის ყოფილ თანამშრომელ გალაქტიონ შენგელიას ბ/გამო საქმე არ აღმოჩნდა შემოსული უმაღლეს სასამართლოში"...

1938 წლის 27 მაისი. რა შუაშია მე-8 ტექნიკუმი, ან მისი ყოფილი თანამშრომელი? საქმე ეხება დასავლეთ საქართველოს კავშირგაბმულობის მე-8 ტექნიკური კვანძის უფროსს, გალაქტიონ შენგელიას.

... და ისევ იწერება მიმართვა ორი მისამართით.

ეღირსა. საქმეში მიკერებული „საქმე გალაქტიონ შენგელიას ბრალდებისა გამო" იპოვნეს. იგი ხელმეორედ გადაეცა უფროს გამომძიებელს ამხ. ბერიძეს.

1938 წლის 27 ივნისი. გამომძიებელ გ. ბერიძის მიერ მეორეჯერ დაიწერა საბრალდებლო დასკვნა მე-114 მუხლის ძალით გ. შენგელიას პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

1938 წლის 5 ოქტომბერი. „გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა მდგომარეობაშია ხსენებული საქმის მსვლელობა და რომელ სასამართლოზეა გადაცემული, ან როდის იქნება საქმის გარჩევა".—კვლავ ღებულობს შეკითხვას უფროსი გამომძიებელი ბერიძე კავშირგაბმულობის რწმუნებულის სამმართველოს ინსპექციისაგან.

1938 წლის 8 ოქტომბერი. და ამავე მიმართვის მეორე გვერდზე ბერიძე აწერს ცნობას: „საქმე მოქ. გალაქტიონ შენგელიას ბრალდებაზე გადაცემულია ქუთაისის უბნის სახალხო სასამართლოს ა.-წ. 27 აპრილს № 95-44-ით. სასამართლოში გაირჩა თუ არა, არ ვიცით".

რამდენი უბნის სახალხო სასამართლოა ქუთაისში?

მრავალი!

მაშ რომელ უბნის სასამართლოს მიმართოს ახლა კავშირგაბმულობის სამმართველომ?

გაურკვეველია!

მაგრამ ეს უკანასკნელი ეჭვს მაინც არ იხრის: იგი კვლავ ჰგზავნის მიმართვებს, შეკითხვებს, პროტესტებს მისამართითა და უმისამართოდ...

მე-8 ტექნიკუმის ყოფილი თანამშრომელი თუ დასავლეთ საქართველოს კავშირგაბმულობის მე-8 ტექნიკური კვანძის უცვლელი (დიახ, უცვლელი და არა ყოფილი) უფროსი გალაქტიონ შენგელია კი კვლავ განაგრძობს თავის მოღვაწეობას...

1938 წლის... 22 ნოემბერი. გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა პატარა ფელეტონი „ბიუროკრატიზმი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით"...

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ი. ტალახაძე ამის შემდეგ ალბათ დასვამს კიდევ ერთ თარიღს, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და სასამართლოსა და საგამომძიებლო ორგანოებში გამეფებულ ბიუროკრატიზმს.

ტ. აიანელი

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ვ. ი. ლენინის შრომაზე—„რა ვაკეთოთ?"

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვიჩვენებს, რომ ისტორიაში არასოდეს არცერთი აღმოცენებული პოლიტიკური ჯგუფი არ იყო ისე საფუძვლიანად მომზადებული იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო პარტიად, როგორც ბოლშევიკური ჯგუფი. ეს იყო მარქსისტული რევოლუციური პარტიის ხანგრძლივი და დიადი ისტორიული მომზადება მარქსიზმის სხვადასხვა მტრებთან — „ეკონომისტებთან", მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ოტზოვისტებთან, ყველა ჯურისა და ელფერის იდეალისტებთან ბრძოლაში.

ამ მოსამზადებელ მუშაობაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლენინის მთელმა რიგმა დიდმა შრომებმა. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?" იყო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური მომზადება.

○

წიგნში „რა ვაკეთოთ?" ლენინმა პირველმა საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიაში ფესვებამდე გამოაშკარავა ოპორტუნიზმის იდეური სათავეები, ამაღლა რევოლუციური თეორიის, შეგნების მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში, გვიჩვენა პარტიის როლი მუშათა კლასისათვის. მასში ლენინმა ბრწყინვალედ დაასაბუთა, რომ მარქსისტული პარტია არის შეერთება მუშათა მოძრაობისა სოციალიზმთან, და მოგვცა ამ პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების ღრმა დამუშავება. ყველა პრობლემები, რომლებიც დამუშავებულია, განვითარებულია ლენინის მიერ შრომაში „რა ვაკეთოთ?", საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიას.

აზრი იმის შესახებ, რომ დაეწერა ეს შრომა, ლენინს დაებადა 1901 წლის დასაწყისში, როდესაც იგი ციმბირის გადასახლებაში სამი წლის ყოფნის შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ და იქ მოაწყო „ისკრის" გამოსვლა. ამაზე სწერდა ვლადიმერ ილიას-ძე სტატიაში „რით დავიწყოთ?", რომელიც დაბეჭდილი იყო „ისკრაში" 1901 წლის მაისში.

1901 წლის შემოდგომაზე ლენინი მთლიანად ჩაუჯდა შრომას „რა ვაკეთოთ?" და დაამთავრა იგი 1902 წლის თებერვალში. იმავე წლის მარტში იგი გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად შტუტგარტში დიტცის სოციალ-დემოკრატიული გამომცემლობის მიერ.

ნაწარმოები „რა ვაკეთოთ?" მოფიქრებული, დაწერილი და გამოქვეყნებული იყო მაშინ, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი უკვე იწყებდა რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმთან, როდესაც უკვე ისმოდა გრგვინვა, რომელიც ქარიშხალს მოასწავებდა. პოლიტიკური გაფიცვათა უდიდესმა ტალღამ მოიცვა მთელი ქვეყანა. იზრდებოდა გლეხთა მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ. რუსეთში ახლოვდებოდა რევოლუცია.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ამ პირობებში ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მოძრაობაში — „ეკონომისტები" ცდილობდნენ შეეტანათ მუშათა კლასში დეზორგანიზაცია და რღვევა, გადაედოთ მისთვის ბურჟუაზიული იდეოლოგიის სენი და დაემორჩილებინათ იგი ბურჟუაზიისათვის.

ეფარებოდნენ რა ცნობილ ლოზუნგს „კრიტიკის თავისუფლება", თვალთმაქცურად გამოაცხადეს რა თავი მუშათა კლასის დამცველებად, „ეკონომისტები" მიათრევდნენ ჭაობში მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას, უნდოდათ მუშებისათვის ჩაენერგათ პირწავარდნილი ოპორტუნიზმის იდეოლოგია.

ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ გამძაფრებულ ბრძოლაში დაეცვა პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობა, გამოეჭედა მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია, ჩამოეყალიბებინა მისი იდეური და ორგანიზაციული პრინციპები.

სწორედ „ეკონომისტების" მთელი ოპორტუნისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ გაილაშქრა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა თავის შრომაში „რა ვაკეთოთ?".

ააშკარავებდა რა რუსეთში „ეკონომიზმის" გამოჩენის მიზეზებს, ლენინმა შრომის „რა ვაკეთოთ?" პირველსავე თავში გვიჩვენა, რომ „ეკონომიზმი" შემთხვევითი მოვლენა როდია რუსეთში. წარმოადგენდნენ რა პროლეტარიატში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებლებს, „ეკონომისტებს" ჰყავდათ თავისი მეგობრები დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ისეთი რევიზიონისტების სახით, როგორიც იყვნენ ბერნშტეინი, მილიერანი და სხვ. ოპორტუნისტულმა მიმდინარეობამ, რომელიც განმტკიცდა დასავლეთში, უნიადაგოდ გამოაცხადა მარქსიზმის მოძღვრება პროლეტარიატის საბოლოო მიზნის შესახებ, კლასობრივი ბრძოლის შესახებ, შეიარაღებული აჯანყებისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ქადაგებდა კლასობრივ ზავს ლიბერალურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის.

აი რატომ იყო, რომ ლენინის ბრძოლა „ეკონომისტების" წინააღმდეგ იმავე დროს იყო ბრძოლა საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგაც.

ააშკარავებდა რა „ეკონომისტების" ოპორტუნისტულ ბუნებას, ლენინმა მოგვცა მუშათა მოძრაობაში სტიქიურობისა და შეგნებულობის თანაფარდობის პრობლემის ღრმა და უბადლო დამუშავება. მან გვიჩვენა, რომ ესხამდნენ რა ხოტბას მუშათა მოძრაობაში სტიქიურ პროცესს, „ეკონომისტები" უარჰყოფდნენ პარტიის მნიშვნელობას, დაჰყავდათ იგი სტიქიური პროცესის მჭვრეტელისა და პასიური რეგისტრატორის როლამდე. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა, კუდში მაჩანჩალობა და პარტიის გადაქცევა სტიქიური პროცესის „კუდად". „ეკონომისტების" ქადაგებას, არსებითად, მივყავდით პარტიის მოსპობისაკენ, პროლეტარიატის უიარაღოდ დატოვებისაკენ ისეთი მტრის წინაშე, როგორიც იყვნენ ცარიზმი და ბურჟუაზია, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ბრძოლის ყველა საშუალებებით მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ამტკიცებდნენ რა, რომ სოციალისტური იდეოლოგია შეიძლება აღმოცენდეს მუშების სტიქიური მოძრაობიდან, „ეკონომისტები" ატყუებდნენ მუშათა კლასს, გზას უკაფავდნენ ბურჟუაზიის იდეოლოგიას და ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას დაემონებინა პროლეტარიატი თავისი იდეოლოგიით.

„...ყოველგვარი ქედის მოხრა მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე, „შეგნებული ელემენტის" როლის ყოველგვარი დამცირება, დამცირება სოციალ-დემოკრატიის როლისა **ნიშნავს** იმავე დროს... **ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას** მუშებზე... საკითხი **მხოლოდ** ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია.. ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველგვარი** დამცირება, მისგან **ყოველგვარი ჩამოშორება** ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას". (ლენინი, ტ. IV, გვ. 390-392).

ლენინმა გამოააშკარავა, თუ სტიქიურ მოძრაობას რატომ მივყევართ სწორედ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისაკენ: თავისი წარმოშობით ბურჟუაზიული იდეოლოგია ბევრად უფროსია სოციალისტურ იდეოლოგიაზე, უფრო ყოველმხრივ არის დამუშავებული და გააჩნია გავრცელების განუზომლად უფრო მეტი საშუალებანი.

ლენინმა გვიჩვენა მარქსისტული პარტიის განსაკუთრებული როლი პროლეტარიატის სოციალისტური შეგნების გამომუშავებისათვის ბრძოლაში. იგი გვასწავლიდა, რომ სოციალისტური შეგნება თავისთავად, თვითდინებით კი არ გამომუშავდება ხოლმე სტიქიური მოძრაობიდან. სოციალისტური შეგნება შეტანილ უნდა იქნას მუშათა მოძრაობაში გარედან, ეს შეგნება იზრდება მეცნიერებიდან. მარქსიზმ-ლენინიზმი ყოვლისშემძლეა იმიტომ, რომ იგი ეყრდნობა იმ ცოდნათა მტკიცე საძირკველს, რომლებიც მასზე ადრე მოპოვებულია კაცობრიობის მიერ. ეყრდნობა რა ამ საძირკველს, მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს მეცნიერული სოციალიზმის თეორიას, რომელიც პროლეტარიატს მიუთითებს მის როლზე, მის ამოცანებზე, მის მიზნებზე. „ეკონომისტები" კი, ქედს იხრიდნენ რა მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე, პარტიის თვალში ფასს უკარგავდნენ რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას, ურომლისოდაც პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, შეიცნოს აწმყო, განჭვრიტოს მომავალი და, მაშასადამე, არ ძალუძს წაიყვანოს წინ მუშათა კლასი.

რევოლუციური თეორიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი პარტიას ორიენტაციას აძლევს ყველა ვითარებაში, შესაძლებლობას აძლევს მიხვდეს გარემო მოვლენათა შინაგან კავშირს, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მიმდინარეობა.

სწორედ შრომის „რა ვაკეთოთ?" ფურცლებიდან გაისმა ვლადიმერ ილიას-ძის მგზნებარე სიტყვები:

„რევოლუციური თეორიის გარეშე არც რევოლუციური მოძრაობა შეიძლება... **მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით**". (იქვე, გვ. 380).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, როგორც აღნიშნავდა ლენინი, ძლიერდებოდა კიდევ შემდეგი მდგომარეობით: პარტია ჯერ მხოლოდ ყალიბდებოდა, ჯერ მხოლოდ იმუშავებდა თავის ფიზიონომიას და არ დაემთავრებინა ანგარიშის გასწორება ოპორტუნისტულ მიმართულებებთან; იმდენად, რამდენადაც სოციალ - დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისოა თავისი დედაარსით, ეს მოძრაობა, რომელიც იწყებოდა ახალგაზრდა ქვეყანაში, შეიძლებოდა წარმატებითი ყოფილიყო მის მიერ სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების პირობით. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ამ გამოცდილების, არა მექანიკურად გადმოტანა, არამედ მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება და მისი დამოუკიდებლად შემოწმება.

არჩევს რა შრომის „რა ვაკეთოთ?" მესამე თავში განსხვავებას ტრედ-იუნიონურ და სოციალ - დემოკრატიულ პოლიტიკას შორის, ლენინი კვლავ უბრუნდება საკითხს მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის ზიანის შესახებ.

„...სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის **ყოველგვარი** დამცირება ტრედ-იუნიონისტურ პოლიტიკამდე არის სწორედ ნიადაგის მომზადება მუშათა მოძრაობის გადაქცევისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად". (იქვე, გვ. 434).

ფაქტები მოწმობენ, რომ მუშათა სტიქიურ მოძრაობას შეუძლია შეჰქმნას მხოლოდ ტრედ-იუნიონიზმი, ხოლო უკანასკნელი სხვა არა არის რა, თუ არ ბურჟუაზიული პოლიტიკა მუშათა კლასში. ტრედ-იუნიონიზმისაკენ რუს მუშებს ეწეოდნენ „ეკონომისტები", რომლებიც მუშების ამოცანებს განსაზღვრავდნენ მეპატრონეებთან ეკონომიური ბრძოლით, აშორებდნენ მათ თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური ბრძოლისაგან. მაგრამ მუშებს უნდოდათ ბრძოლა არა მარტო კაპიტალისტებისათვის თავისი სამუშაო ძალის მიყიდვის პირობების გაუმჯობესებისათვის, არამედ თვით კაპიტალისტური სისტემის მოსპობისათვისაც.

რევოლუციური მარქსისტული პარტიის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დახმარებოდა მუშებს და სათავეში ჩადგომოდა მათ ბრძოლას ამ კაპიტალისტური სისტემის მოსპობისათვის.

„...მოგვეცით ჩვენ რევოლუციონერების ორგანიზაცია—და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს!". (იქვე, გვ. 458).

ლენინის ეს მოწოდება გახდა დროშა „ისკრის" და ისკრელთა ბრძოლისა პარტიის შექმნისათვის.

ლენინი მთელი ძალით თავს ესხმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კუსტარულობას და დაქუცმაცებას, რომლებსაც „ეკონომისტები" ხოტბას ასხამენ. კუსტარულობით, ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, ჩვენ „**დავამცირეთ რევოლუციონერის პრესტიჟი**". გამოუცხადა რა დაუნდობელი ბრძოლა ამ კუსტარულობას და დაქუცმაცებას, ლენინმა დააყენა საკითხი პროფესიონალი - რევოლუციონერის შესახებ, პარტიული მუშაობის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლის შესახებ.

სახავს რა მარქსისტული პარტიის აგების თავის გენიალურ გეგმას, ლენინი აქვე პოულობს ძირითად რგოლს, რომელმაც გადაწყვიტა მისი გეგმის წარმატება. ეს რგოლი იყო საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთი, რომლის გამოსვლა ლენინმა მოაწყო ჯერ კიდევ 1900 წლის დამლევს.

„საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის, როგორც პარტიულ ძალთა თავმოყრის ცენტრის, დაყენება, ადგილებზე მტკიცე პარტიული კადრების, როგორც პარტიის „რეგულარული ნაწილების", შექმნა, ამ კადრების შეკავშირება ერთ მთელად გაზეთის საშუალებით და მათი დარაზმვა საერთო-რუსეთის მებრძოლ პარტიად მკვეთრად მოხაზული საზღვრებით, გარკვეული პროგრამით, მტკიცე ტაქტიკით, ერთიანი ნებისყოფით,—აი როგორი გეგმა განავითარა ლენინმა თავის განთქმულ წიგნებში: „რა ვაკეთოთ?", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან"... ამ გეგმის გამარჯვებამ საძირკველი ჩაუყარა იმ დარაზმულ და გამობრძმედილ კომუნისტურ პარტიას, რომლის ბადალი არ იცის მსოფლიომ". (სტალინი).

შრომის „რა ვაკეთოთ?" ლენინური იდეებით გამსჭვალულია ამხანაგი სტალინის მთელი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლა რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. ბროშურაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებებზე", რომელიც გამოცემულია 1905 წელს, ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის თეორიის გამანადგურებელი კრიტიკა. თავის სტატიაში „პასუხი სოციალ-დემოკრატს", რომელიც გამოქვეყნებულია 1905 წლის აგვისტოში გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში", ამხანაგი სტალინი ავითარებდა ლენინის თეზისს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ. ლენინმა ბრწყინვალე შეფასება მისცა ამხანაგ სტალინის ამ სტატიას. გაზეთ „პროლეტარში" (1905 წ. № 22) ლენინმა, ლაპარაკობდა რა ამხანაგ სტალინის ამ სტატიაზე, აღნიშნა მასში „საუცხოო დაყენება საკითხისა ცნობილ „შეტანაზე შეგნებისა გარედან"".

○

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე თავში შრომის „რა ვაკეთოთ?" გადმოცემას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ამიტომ, ვიდრე შევუდგებოდეთ შრომის „რა ვაკეთოთ?" შესწავლას, საჭიროა, წინასწარ მომზადებისათვის, შევისწავლოთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე თავი.

შემდეგ საჭიროა წინასწარ შევისწავლოთ ლენინის სტატია „რით დავიწყოთ?". (მოთავსებულია IV ტომში). ეს სტატია წარმოადგენს შრომის „რა ვაკეთოთ?" თითქოს მოკლე კონსპექტს, გეგმას.

შრომის „რა ვაკეთოთ?" ღრმად შესწავლისათვის ფრიად სასარგებლოა წაიკითხოთ „წინასიტყვაობა" კრებულისა: „12 წლის მანძილზე", რომელიც ლენინის მიერ დაწერილია 1907 წელს და სადაც მოცემულია შრომის „რა ვაკეთოთ?" როლისა და მნიშვნელობის საერთო შეფასება. (იხ. ტ. XII).

არსებობს ლენინის ფრიად საინტერესო მიწერ-მოწერა ამ წიგნის შესახებ. პარტიის მოსკოვის კომიტეტის მადლობის საპასუხოდ, რაც მან უძღვნა ლენინს წიგნისთვის „რა ვაკეთოთ?", ლენინმა გაგზავნა საპასუხო წერილი, რომელიც უდიდესი ინტერესით იკითხება (ტომი V, გვ. 167). ვლადიმერ ილიას-ძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ამ წიგნის განხილვას პიტერის ორგანიზაციაშიც, სადაც მაშინ მოკალათებული იყვნენ „ეკონომისტები" (იქვე, გვ. 140). ლენინის მთელი მიწერ-მოწერა, მუშების წერილები „ისკრაში" გვიჩვენებენ, რომ წიგნმა „რა ვაკეთოთ?" თავისი გამოსვლის პირველივე დღეებიდან შეასრულა ნამდვილად ისტორიული როლი რუსეთში მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნაში.

მ. შმიდტი

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მასწავლებელი.

„პრავდა"

„ფოლადაური" რუსთაველის სახელობის თეატრში

თავისუფლებისათვის მრავალგზის ომგადახდილი გლეხობის დამარცხების სიმწარემ და გამარჯვების სიხარულმა შთააგონა პოეტსა და დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს დაეწერა მონობისა და ბატონყმობისაგან თავდასაღწევად გაწეული ბრძოლების ამსახველი პიესები: „სპარტაკი", „ჰერეთის გმირები", „არსენა".

ხალხისათვის თავდადებულთა დამარცხების ასახვაზე არ შეჩერებულა დრამატურგის კალამი.

სანდრო შანშიაშვილმა თავის სამწერლო მოვალეობის პატივად მიიჩნია ბოლომდე მიჰყოლოდა სწორად წარმართულ თემატურ გზას და დაეხატა საკოლმეურნეო წესწყობილების გამარჯვების შედეგად დამკვიდრებული ბედნიერი ცხოვრების ამსახველი სასცენო სურათი.

„ფოლადაური" გამოხატავს კოლმეურნეობის ზრდასა და განმტკიცებას სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორი და განუხრელი გატარების შედეგად. ავტორი ახერხებს გვიჩვენოს, რომ ლენინ-სტალინის პარტიის იდეები დაინერგა ახალი სოფლის მოწინავე ადამიანთა შეგნებაში, რომ სოციალიზმის ინტერესები განსაზღვრავენ ახალი ადამიანის ქცევას. თბილად, დამაჯერებლად და ეფექტურად აქვს დრამატურგს დაწერილი სოციალისტური საკუთრების დასაცავად თანდილას მზადყოფნის ამაღელვებელი სცენა. ავტორი ახერხებს გვიჩვენოს ახალი ადამიანები საამური ცხოვრებით, დაბრკოლებათა გადამლახველობით, რევოლუციური სიფხიზლით, სოციალიზმისათვის თავდადებით და შრომასთან ახლებური დამოკიდებულებით. ავტორს თანაბარი სისრულით ჰყავს დახასიათებული როგორც საკოლმეურნეო წყობის უპირატესობაში დაჯერებული გლეხობის ძველი თაობის ტიპები, ასევე კოლმეურნე ახალგაზრდობის ნათელი სახეები.

კომპოზიციურად პიესა ვერ არის ნაცადი დრამატურგისათვის ჩვეული ოსტატობით შეკრული. მეორე მოქმედება, მასში რომ ერთი პატარა ინტრიგა არ იკვანძებოდეს, პიესაში ჩართულ დივერტისმენტად გადაიქცეოდა. არასაკმარისი დამაჯერებლობით არის მოტივირებული ქალვაჟთა გუნდების გასვლა-გამოსვლები. უკანასკნელი სურათიც კონცერტივით არის მობმული პიესაზე.

პიესის ძირითადი ნაკლია, რომ პიესაში ფოლადაური არ სჩანს, — ფოლადაურს ფოლადი აკლია. გიორგის ბოლშევიკური სიფხიზლე და საქმიანობა მხოლოდ მოთხრობილია და ამ გმირის ეს თვისებები არ სჩანან მოქმედების განვითარების წარმმართველ ძალად. შთაბეჭდილება ისეთია, რომ გიორგის სცენაზე ყოფნა-არყოფნას თითქმის მნიშვნელობა არა აქვს, სულ ერთია, ამბები უმისოდაც თავის გზით განვითარდებოდა და დაბოლოვდებოდა. ამიტომაც არის, რომ გიორგის როლის ამსრულებელი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული, სახელი დიდი აქვს და სამოქმედო და სათამაშო კი მცირე.

მიუხედავად ზემოხსენებული ნაკლისა, „ფოლადაური" დრამატურგსა და თეატრს მიღწევად ჩაეთვლება და ეს იმიტომ, რომ ავტორს პიესის მთელი დანარჩენი ტიპაჟი, გარემოცვა, საერთო ატმოსფერო მოვლენებისადმი განწყობა და მომქმედ პირთა მკაცრი პრინციპულობით ნაკარნახევი ქცევა ახალი სოციალისტური სოფლისთვის დამახასიათებლად აქვს გამოსახული და თეატრის მიერაც პიესის ეს ჯანსაღი და არსებითი მხარე თბილად და დამაჯერებლად არის მიტანილი მაყურებლამდე.

უთუოდ მისასალმებელია, რომ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თეატრში მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი უნდობლობით და ათვალწუნებით ეკიდებოდა წინანდელი ხელმძღვანელობა ახალგაზრდა კადრებს. „ფოლადაური" ახალგაზრდა ნიჭიერი ძალების წინ წამოწევის, მათი ეჭვმიუტანელი ნიჭისა და მხატვრული შესაძლებლობის ზრდის მაჩვენებელი სპექტაკლია.

პიესა დასდგა რეჟ. **შ. წერეთელმა**, რომელსაც დღემდე თეატრალურ მუშაკთა მხოლოდ ვიწრო წრე იცნობდა, როგორც სპექტაკლების ფაქიზად დამცველს, მეტად ბეჯით და კეთილსინდისიერ მუშაკს, დღეიდან ჩვენ მას ვიცნობთ, უკვე როგორც გამარჯვებით დამწყებ ხელოვან რეჟისორს, რომელსაც მომავალი წინა აქვს.

ახლა რაც შეეხება სპექტაკლის მონაწილეთა თამაშს. გიორგისა და ნებისარის შემსრულებელთ **სტ. ჯაფარიძეს** და **დ. ხუციშვილს** თანაგრძნობა ეთქმით, რადგან მათ ბევრი არაფერი ჰქონდათ სათამაშო. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია მსახიობ ჯაფარიძის მხატვრული ტაქტი და ზომიერების გრძნობა.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ამ სპექტაკლში **თ. ბაქრაძე** (მარინე), რომელიც უკვე ჰფლობს თავის კარგ აქტიორულ მონაცემებს, იჩენს მსახიობისათვის, ეგრერიგად აუცილებელ მომხიბვლელობას, თავს აღწევს როლის სცენიდან მოხსენების ჩვევებს, თამაშობს გულწრფელად, დამაჯერებლად და, რაც მთავარია, ამჟღავნებს ახალგაზრდა აქტიორისათვის ძნელად მისაღწევ ზომიერების ტაქტს. სასცენო სახის ცალკეული დეტალების დამახასიათებლად სრულყოფას რომ ახერხებდეს, მაშინ მისი თამაში წუნდაუდებელი იქნებოდა.



სცენა მე-2 მოქმედებიდან: მსახიობი თ. ბაქრაძე (ტრაქტორისტი), შ. გიგაური (ტანკისტი).

მ. ჯაჯანაშვილი (თებრონე) გადაჭარბებით ხარჯავს ჟესტსა და ხმას, ცქრიალა გოგონას განსახიერებას კი ახერხებს, მაგრამ ამასაც გვათქმევინებს: მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ თქვენი შესაძლებლობის ჩვენებაში და იქნებ უკეთ დაგვიჯეროთ.

ან. სანაძეს (ნანული) პატარა, მაგრამ კარგი როლი აქვს; გამოუმჟღავნებლად იგრძნობა რომ მსახიობს გულთბილად და დამაჯერებლად თამაშის შნო და უნარი შესწევს.

ან. ვარდიაშვილს (საბედო) თითქმის უსიტყვო როლი რგებია, მაგრამ მსახიობს მოუხერხებია მისი დასამახსოვრებლად განსახიერება, რაც იმის მთქმელია, რომ ნიჭი და უნარი პატარა როლშიაც არ დაიკარგება.

ლ. ყაზაიშვილი (ხარიტონი) მომწიფების ასაკში შესულ მსახიობად სჩანს. მან გვიჩვენა თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის ზრდა, დაგვარწმუნა, რომ შემდეგში შეეძლება მას მეტი მოეთხოვოს.

რეჟისორის ეს პირველი დადგმა მეტად გაბედული იყო, მან ძირითადში ახალგაზრდა აქტიორთა ძალებზე დამყარებით სცადა სპექტაკლის გამართვა და ამ მხრით მისი წარმატება ერთიორად დასაფასებელია. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ ამ სპექტაკლში ნიჭიერი და სამედო ძალების გაბედული დაწინაურებით საუკეთესო საჩუქარი მიუძღვნა ჩვენს სამშობლოს ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავზე. უნდა ითქვას, რომ რუსთაველის თეატრის ახალგაზრდობამ: **ზ. მაჩაბელმა, შ. აბესაძემ, გ. ბეჟუაშვილმა, შ. გიგაურმა, დ. ჭიაბრიშვილმა, ალ. სიხარულიძემ, ა. აფხაიძემ, ი. მაზმანიშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, ი. ზექაურმა, ბ. სხირტლაძემ, ზ. ლალიძემ** სრულად გაამართლა თეატრის ნდობა და გადააჭარბა მაყურებლის მოლოდინს. განსაკუთრებით თავი იჩინა ზ. მაჩაბელის (გოჩილო) და შ. აბესაძის ნიჭმა და შესაძლებლობამ, რაც მაყურებელთა დამსახურებულ აღტაცებას იწვევს.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, ახალგაზრდობაში უმეტესობა ნიჭიერი სჩანს, ჩვენს ქვეყანაში სხვანაირად არ შეიძლება იყოს. საქმე ის არის, რომ ეს უსაზღვრო მზრუნველობა და სიყვარული ახალგაზრდამ შეიგნოს, პასუხისმგებლობის გრძნობით, ცოდნით და წაყენებული მუყაითი მეცადინეობით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით ლელო ბოლომდე გაიტანოს და მომწიფდეს სრულყოფილი სახეების შემოქმედ ოსტატად.

სპექტაკლიდან სჩანს, რომ ზოგიერთ, ჩვენთვის უკვე ძვირფას, ნიჭიერ ახალგაზრდას ხიფათი მოელის. პირველად ყოვლისა ჩვენ ზ. მაჩაბელი (გოჩილო) გვინდა გავაფრთხილოთ. მის შესრულებაში შეპარულია სიყალბისა და პოზიორობის ელემენტები, რომელთაც, მართალია, ჯერ მისი გულწრფელობა და უშუალობა ვერ დაუფარავთ, მაგრამ სანანებელ ზიანს კი აყენებენ მის თამაშს. გადამლაშების მიუღებელ ჩვევებისაგან უნდა განთავისუფლოს თავი აგრეთვე ი. ჯავახიშვილმაც (გოგია). გ. ასიტაშვილმა (თომა), შეძახილებსა და სახრის ქნევაში რომ ოდნავი ზომიერება დაიცვას, ამ ხანად მისი თამაში წუნდაუდებელი იქნებოდა.

გ. ასიტაშვილი, შ. აბესაძე, გ. ბეჟუაშვილი, შ. გიგაური, ალ. აფხაიძე, დ. ჭიაბრიშვილი, ბ. სხირტლაძე ამჟღავნებენ ანსამბლური თამაშის მოსაწონ ჩვევას.

რუსთაველის თეატრი ამ უკანასკნელ წლებში წარმატებით ცდილობს ხუროთმოძღვრული კონსტრუქციების ფერწერულ მხატვრობასთან შეგუებით გამოყენებას. ეს ამოცანა კარგად აქვს დაძლეული მხატვარს **თამარ აბაკელიას**. მისი შესანიშნავი პეიზაჟი და კარგად მოფიქრებული დეკორატიული ნაგებობა სპექტაკლის დადებით მნიშვნელობას აძლიერებს. საერთოდ რუსთაველის თეატრის ტექნიკური ნაწილის, კერძოდ კონსტრუქტორ-მშენებლის **ნ. კრავეიშვილის** ფაქიზი მუშაობა სამაგალითოა და მისაბაძი.

რ. გაბიჩვაძის მუსიკა დრამატიული სცენის მოთხოვნას აკმაყოფილებს, ეხმარება მაყურებელს საჭირო განწყობის შექმნით სპექტაკლის ათვისებაში, — მეტს კი კომპოზიტორისაგან ამ შემთხვევაში არც მოვითხოვთ. კარგად ისმოდა საფანდურო და საცეკვაო.

დ. ჯანელიძე

რუსული მხატვრობის გამოფენა

გუშინ, დღის 12 საათზე, ხელოვნების მუზეუმში „მეტეხში" გაიხსნა მე-18 და 19 საუკ. რუსული მხატვრობის გამოფენა.

სამ საკმაოდ მოზრდილ დარბაზში წარმოდგენილია დიდი მოძმე რუსი ხალხის ფერწერისა და ქანდაკების 131 შესანიშნავი ნიმუში, რომლებიც ფართო მასებისათვის დღემდე თითქმის უცნობი იყო.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან რუსული მხატვრობის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ანტროპოვი, როკოტოვი, ლევიცკი, ბოროვიკოვსკი, ტროპინინი, ჟუკოვსკი, ჩერნეცოვი, გაგარინი, რეპინი, ვერეშჩაგინი, ბაიკოვი, აივაზოვსკი, ლევიტანი, კოლჩინი, შიშკინი, სურიკოვი, სეროვი, ზანკოვსკი, ვრუბელი და სხვ.

„მეტეხის" მუზეუმის დირექციას იშვიათი სიფაქიზითა და გემოვნებით შეურჩევია ექსპონატები გამოფენისათვის. თავმოყრილი სურათების დიდი ნაწილი ქართულ თემატიკაზეა გაკეთებული. ეს მოწმობს იმას, რომ საქართველო თავისი ბუნებითა და ხალხით დიდიხანია იზიდავდა რუსეთის საუკეთესო ხელოვანთა ყურადღებას.

გამოფენას სიამოვნებით ინახულებს თბილისის ყველა მშრომელი.

გ. ა.

განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი 1938 წლის 25 ნოემბერს თბილისის მასწავლებელთა სახლში (ფურცელაძის ქუჩა, № 3) საღამოს 8 საათზე იწვევს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურ თათბირს. თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) 1938-39 სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ — განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება. 2) მეთოდური ხელმძღვანელობის ორგანიზაციის შესახებ—განსახკომის მოადგილის ამხ. მ. ბურჭულაძის მოხსენება. 3) მასწავლებელთა ატესტაციის შედეგები და მისი შემდგომი ამოცანები. განსახკომის მოადგილის ამხ. ლ. გეგეშიძის მოხსენება. 4) განსახკომის სკოლების პასპორტიზაციის შესახებ—ამხ. ბ. კიზირიას მოხსენება. 5) 1938-39 სასწავლო წლის სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ—განათლების სახ. კომისრის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება.

სახალხო განათლების განყოფილების გამგეთა დასწრება სავალდებულოა.



ბინიდან ბინაზე

მხატვარ ვ. ვასნეცოვის სურათის რეპროდუქცია

პავლე პირველის სიგელი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებამ შეიძინა რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის სიგელის დედანი, გაცემული 1799 წლის 18 აპრილს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მეფედ გიორგი მეთორმეტის დამტკიცების შესახებ.

სიგელი დაწერილია დიდი ფორმატის ოქროსფრად მოვარაყებულ პერგამენტზე, რომელსაც თან ახლავს ამავე ფორმატის ძვირფას ქაღალდზე დაწერილი სიგელის ტექსტის ქართული თარგმანი.

როგორც სიგელში სწერია, პავლე პირველს გიორგი მეთორმეტისათვის სიგელთან ერთად გამოუგზავნია აგრეთვე სამეფო ნიშნები — გვირგვინი, ხმალი, კვერთხი, ტახტი და დროშა, მრჩევლად კი დაუნიშნავს კოვალენსკი.

სიგელს ხელს აწერენ თვითონ პავლე პირველი და გრაფი ვიქტორ კოჩუბეი.

აკოფ აკოფიანის ხსოვნის საღამო

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს საღამოს, მიძღვნილს საქართველოსა და სომხეთის სახალხო პოეტის აკოფ აკოფიანის ხსოვნისადმი. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. სანდრო ეული. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვა ა. აირაპეტიანი. რუსულად მოხსენებას წაიკითხავს ა. კარაპეტიანი. აკოფ აკოფიანის ლექსების თავიანთ თარგმანს წაიკითხავენ პოეტები: ს. ეული, ი. გრიშაშვილი, გ. გორგაძე, ქ. კალაძე, ს. თავაძე.

პოეტისადმი მიძღვნილი თავისი ლექსებით გამოვლენ ასატურ შეში, გ. სიმონიანი, ს. ავჩიანი, არმენ ცოლაკი.

აკოფ აკოფიანის ნაწარმოებებს სომხურ ენაზე წაიკითხავენ მსახიობები პაარე და ნერსესიანი.

23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ., № 13) შესდგება ამხ. ივ. წულუკიძის მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ახალგაზრდობა ქართულ პროზაში".

ხელოვნება

„ქეთო და კოტე" უკრაინულ ენაზე

ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავზე კიევის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა დასდგა ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე". ოპერის ტექსტის თარგმანი შესრულებულია ცნობილი უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის მიერ.

სპექტაკლი მოამზადა რეჟისორმა ევგენი გერმანმა, ცეკვების დამდგმელად მიწვეული იყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი ორდენოსანი ილიკო სუხიშვილი.

სპექტაკლი დიდი წარმატებით სარგებლობს. უკრაინის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ სპეციალური ბრძანებით მადლობა გამოუცხადა მუსიკალური კომედიის თეატრის მთელ კოლექტივს ბრწყინვალე სპექტაკლის მომზადებისათვის, და ცალკე ილიკო სუხიშვილს ენერგიული დახმარებისათვის.

ეს მეორე ქართული ოპერაა, რომელიც მიდის კიევის თეატრების სცენაზე. ოპერისა და ბალეტის თეატრში იდგმება „დაისი", ხოლო მუსიკალური კომედიის თეატრში — „ქეთო და კოტე".

კიევში ყოფნის დროს ი. სუხიშვილმა ოპერისა და ბალეტის თეატრში განახორციელა აგრეთვე ბალეტ „კავკასიის ტყვის" დადგმა. გარდა ამისა, ის მოცეკვავედ გამოდიოდა „დაისის" და „ქეთო და კოტეს" სპექტაკლებში.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში.

22 ნოემბერს:

აგიტაციის კაბინეტი — 1) ლექცია: ბეჭდვითი სიტყვა პროპაგანდის მძლავრი იარაღია. რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. კრიტანი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

2) ლექცია: მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები. რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. ქუთელია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი — ლექცია: იაპონიის ეკონომიკა და ომი ჩინეთში. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0519149, გაცემული თბილისის გარნიზონის სპეცნაწილების პოლიტგანყოფილების მიერ არჩილ ალექსანდრეს-ძე იაშვილის სახელზე, და პარტბილეთი № 1536819, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე სვინტრაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქურდთა ბრბოს შეპყრობა

ა.-წ. მარტიდან თბილისში სისტემატიური ხასიათი მიიღო [illegible] გაქურდვამ. ქურდობა ხდებოდა [illegible] ტექნიკური იარაღების გამოყენებით.

საქართველოს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილებამ მალე გამოარკვია, რომ ამ მძარცველობას ეწეოდა ქურდების ერთი და იგივე ბრბო, რომელსაც მსხვილი ქურდი - პროფესიონალი მ. ი. ლეონტიევი მეთაურობდა. მის გარდა ბრბოში შედიოდნენ ცნობილი ქურდი ქალები ევგენია ფომინა (ლეონტიევის ცოლი) და ქსენია კოტოვა. ისინი ყველანი დააპატიმრეს. როგორც გამოირკვა, ლეონტიევი ბოროტმოქმედებას ეწეოდა 1910 წლიდან. მას ქურდობის 31 რეგისტრაცია აქვს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. დოლგუნსკის, აკინინის, მილონენკოს, გეცენოვსკის, საზონენკოს, მოროზოვის, ლიდენკოს, ავსეენის, მაკაროვისა და ბუგროვის გვარებით. ამას გარდა ლეონტიევი 11-ჯერ ყოფილა გასამართლებული. უკანასკნელად ის გასამართლებული იყო 1936 წელს ლენინგრადში, სადაც მას 5 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ იმავე წელს გაიქცა პატიმრობის ადგილიდან და ისევ ბოროტმოქმედებას მიჰყო ხელი. სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის ლეონტიევი ცნობილი იყო „ვანკა კაინის" მეტსახელით.

თითქმის ყველა ქურდობაში, რომელიც ლეონტიევს მოუხდენია, მას აქტიურ დახმარებას უწევდა მისი ცოლი ე. ფომინა, ასევე დიდი ქურდი, რომელსაც 26 რეგისტრაცია აქვს 14 სხვადასხვა გვარით. ისიც რამდენჯერმე ყოფილა გასამართლებული და მას ეძებდნენ შრომის გამასწორებელი ბანაკიდან გაქცევისათვის. ბრბოს წევრი ქსენია კოტოვაც ცნობილი ქურდია 18 რეგისტრაციით და 3 გასამართლებით. მასაც რამდენიმე გვარი ჰქონდა.

ამ ბრბოს თავისი მფარველები და თანამონაწილენი ჰყავდა თბილისს, ბაქოსა, კიროვაბადსა და სხვა ქალაქებში. თბილისში ქურდებს ჰფარავდნენ და ხელს უწყობდნენ ვლადისლავ და ტატიანა ტრიცკები, მცხოვრებნი ტექნიკურ ქუჩაზე № 4, მ. პოლოსოვა (პლეხანოვის პროსპ. № 137), ტ. აგაბაბოვი (პლეხანოვის პრ., № 141) და მ. პერესლავცევი (პეტრიაშის, № 11).

ახლა ისინი ყველანი დაპატიმრებულნი არიან. გამოძიება ამ საქმეზე დამთავრებულია და საქმე გადაცემული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას.

„სპარტაკი" თბილისში

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ამ დღეებში თბილისში გამოემგზავრება საკავშირო ფალავანი — მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი.

30 ნოემბერს ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა.

ორივე გუნდი ითამაშებს ძირითადი შემადგენლობით.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

20 ნოემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1026	1070	104,3
ტყვარჩელი	719	719	100
ჭიათურა	—	—	—*

*) ჭიათურიდან რედაქციას 20 ნოემბრის ცნობა არ მიუღია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის მორიგი პრემიერა

გუშინ მარჯანიშვილის სახ. თეატრმა თბილისის მაყურებელს უჩვენა მიმდინარე სეზონის მორიგი პრემიერა — დრამატურგ პ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება".

პრემიერა დიდი წარმატებით ჩატარდა. სპექტაკლის გამარჯვებას დრამატიული ნაწარმოების მაღალ მხატვრულ ღირსებებთან ერთად ხელი შეუწყო მასში მონაწილე მსახიობების კარგმა თამაშმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ **ს. თაყაიშვილი** (გვირისტინე), **შ. ჯაფარიძე** (მანუჩარი), **გ. შავგულიძე** (ხარიტონი), **ს. ზაქარიაძე** (ჯიბილო), **ქ. კვანტალიანი, ა. დონჯაძელი, გ. კოსტავა, თ. ჩარკვიანი** და სხვ.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებლებით გაჭედილმა დარბაზმა მხურვალე ოვაციები გაუმართა ავტორს — **პ. კაკაბაძეს**, პიესის დამდგმელს — რესპ. დამსახ. არტისტ **შ. ღამბაშიძეს**, მხატვარს **ქ. სანაძეს** და მსახიობებს.

შესრულდა 5 წელი ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის" გახსნიდან. სურათზე: მუზეუმის ხედი.

ა.-წ. 24 ნოემბერს იხსნება **რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების (რემედასის) საქართველოს ორგანიზაციის VI ყრილობა.**

დღის წესრიგი:

1) საქ. რემედასის ც. კ-ის ანგარიში
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) არჩევნები.

მანდატები გაიცემა 23 და 24 ნოემბერს რემედასის ც. კ-ში, ლუნაჩარსკის ქ. № 8.

ყრილობა გაიხსნება საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში, კომინტერნის ქ. № 5.

საქ. რემედასის ც. კ-ის პ.-მგ. მდივანი მ. შ. აბაშმაძე

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი ოთხთვიანი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, 16) ა.-წ. 23 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მიერ გამოყოფილი ამხანაგები ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდნენ მეცადინეობაზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

22/XI	23/XI	24/XI
მუდმ. აბნ. ტალ. № 30	მუდმ. აბნ. ტალ. № 31	დილის სპექტაკლი აბ. № 1
პიკის ქალი	ესმერალდა	ქეთო და კოტე

დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24 ნოემბერს დილის სპექტაკლი აბონემენტი № 1

ვ. დოლიძე

ქეთო და კოტე

ოპერა 3 მოქმ. და 4 სურ.

დასაწყისი დღის 12 საათზე 150

23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის (შინსახკომის) კლუბში, ბესიკის ქ. № 4, **შესდგება საქართველოს საექიმო საზოგადოების ღია სხდომა, მიძღვნილი კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კვირეულისადმი.**

დ ღ ი ს წესრიგშია:

1. კიბო და მის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია — დოც. ქ. ვეფხვაძე.
2. კიბოს ნაადრევი დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. პროფ. გ. ლამბარაშვილი.
3. რენტგენის და რადიუმის სხივების მნიშვნელობა კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში. პროფ. გ. ნაზარიშვილი.

შესვლა თავისუფალია.

ჯ. ს. ქ. კიბოს საწინააღმდეგო კომიტეტი და საქ. საექიმო საზოგადოება.

2—1 140

სახცირკი ტელ. 3-11-44

დღეს საცირკო წარმოდგენა.

ახალი პროგრამა 3 განყოფილებად.

არტისტები: პოლდი, სტეპანოვები, მურატოვა და ტოლკაჩევი, ჩეკალდაკი და რიბალკა, მი-კო-ში და სხვა ნომრები.

დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ტრესტი „საქართველოს ლუდი და ლიმონათი"

ტრესტის ლიმონათის ქარხანა უშვებს ხილის ნატურალურ წვენზე დამზადებულ წყლებსა და სიროფებს, რომლებიც დამზადებულია მიტროფანე ლაღიძის ხელმძღვანელობით.

თბილმრეწვავაჭრობის ტრესტის, გასტრონომის, „გლავხლადპრომის" ყველა მაღაზიაში მოითხოვეთ ალუბლის, შინდის, ლოლონაშოს, ხენდროს **სიროფები**

მცირეალკოჰოლიანი სასმელები—კახური, შამპანური, კრუშონი.

ციტრუსოვანთა სიროფები—გრეიფრუტის, კლემენტინის, ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის

სიტრო

კრემსოდა

ვანილისა.

1350

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

22/XI	წარმოდგენა 53 ოტელლო
23/XI	წარმოდგენა 54 უდანაშაულოდ დამნაშავენი
24/XI	დღის წარმოდგენა მე-2 აბ. მე-2 წარმოდგენა ნაპერწკლიდან დასაწყ. დღ. 12 ს.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

22 XI	კოლმეურნის ქორწინება
23/XI	კოლმეურნის ქორწინება
24/XI	დილის წარმოდგენა მური

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე

ექიმი

მძინარიშვილი

ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.

ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, ბინა 38, მე-4 შესავალი, მე-2 სართული

5—2 21562

საქ. სარეწ. საბჭოში შემავალი არტელი „შრომის" (თბილისი) დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	მუხლების დასახელება (აქტივი)	ჯამი	№№ რიგ.	მუხლების დასახელება (პასივი)	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	5111	1	ფონდები	49996
2	საშუალებანი ბრუნვაში	2921	2	მიზნობრივი რეზერვები	2001
3	ნედლეული და მასალები	3964	3	გრძელვადიანი კრედიტები	8000
4	წარმოება და გადამუშავება	33770	4	მომავალი საანგარიშო პერიოდის შემოსავალი	58606
5	პროდუქცია და საქონელი	19687			
6	ფულადი საშუალებანი	16309			
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	17909			
8	განყენებული საშუალებანი	5770			
9	დანაკარგები	13162			
	ბალანსი	118603		ბალანსი	118603

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	25556	1.	შემოსავალი რეალიზაციით	2025
			2.	სხვადასხვა შემოსავალი	10369
	სულ	25556		სულ	12394
			3.	დაგროვებანი	13162
	ბალანსი	25556		ბალანსი	25556

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ (ოქმი № 9). 1938 წ. 3 მარტს.

არტელის თავმჯდომარე **ა. ი. თავაძე**. მთ. ბუხჰალტერი **გ. შ. ბერიძე**. 1208

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 88.

მთავლიტის რწმუნებული 0—211